აჭარა

გამოცემის 102-ე წელი

www.gazetiajara.ge

გამოდის: სამშაბათს, ხუთშაბათს, შაბათს

№18 (25.042) შაბათი, 18 - 20 თებერვალი, 2023 წ. 50 თეთრი

გარემოს ეროვნული სააგენტოს აჭარის ჰიდრომეტეოროლოგიური ობსერვატორიის ცნობით

დღეს მოსალოდნელია ცვალებადი მოღრუბლულობა, უნალექოდ, ცვალებადი მიმართულების ქარი – 10-15 მეტრი წამში, ტემპერატურა სანაპირო რაიონებში - 5-10, შიდამთიან რაიონებში - 1-6 გრადუსი სითბო, მაღალ მთაში - 0-5 გრადუსი ყინვა. ზღვის წყლის ტემპერატურა 8 გრადუსია, ატმოსფერული წნევა – 762 მილიმეტრი.

მომდევნო 3 დღეს მოსალოდნელია წვიმა.

კრიალოსა N იუსი

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში მიმდინარე უსაფრთხოების კონფერენციაში მონაწილეობს, რომელსაც მიუნხენი ორი დღის განმავლობაში უმასპინძლებს. მას მსოფლიოს 40 ლიდერი და 100 საგარეო საქმეთა მინისტრი ესწრება. კონფერენციის ფარგლებში, ირაკლი ღარიბაშვილი მაღალი დონის ორმხრივ შეხვედრებს გამართავს.

* * *

ევროპარლამენტმა მიხეილ სააკაშვილთან დაკავშირებით რეზოლუცია მიიღო, რომელსაც მხარი 577-მა დეპუტატმა დაუჭირა, 33 მოწინააღმდეგე იყო, ხოლო 26-მა თავი შეიკავა. ევროპარლამენტარები მოუწოდებენ საქართველოს ხელისუფლებას, გაათავისუფლოს მიხეილ სააკაშვილი და მისცეს მას საზღვარგარეთ მკურნალობის საშუალება, ხოლო პრეზიდენტ სალომე ზურაბიშვილს - გამოიყენოს კონსტიტუციური უფლება და შეიწყალოს იგი.

* * *

სტრასბურგის სასამართლომ ევროპარლამენტის რეზოლუციას ყველანაირ პოლიტიკურ შეფასებაზე უფრო ძლიერი შეფასება მისცა - სასამართლომ ფაქტობრივად თქვა, რომ მიხეილ სააკაშვილი იყო გულაგების პრეზიდენტი, - განაცხადა პარლამენტის თავმჯდომარე შალვა პაპუაშვილმა. მან ისაუბრა საქმეზე - „ოჩიგავა საქართველოს წინააღმდეგ“ მიღებულ ევროსასამართლოს გადაწყვეტილებაზე, რომლის მიხედვითაც „2012 წლამდე საქართველოს პენიტენციურ სისტემაში წამება სისტემური ხასიათის იყო“.

* * *

„ოცნებას“ მიხეილ სააკაშვილის საზღვარგარეთ სამკურნალოდ გაშვება აწყობს და ახლა ყველაფერს იზამენ, რომ გაუშვან, ამით კი „ნაცმოძრაობა“, მათი მტრის ხატი, განადგურებას გადაარჩინონ, - განაცხადა „გირჩის“ დეპუტატმა იაგო ხვიჩიამ. მისი თქმით, არავის სჯერა, რომ ექსპრეზიდენტს ციხეში კლავენ და აწამებენ, „სააკაშვილი თავად რისკავს საკუთარი ჯანმრთელობით“.

* * *

რუსეთი ამზადებს საქართველოს ანექსიას ჩვენი ოკუპირებული ტერიტორიების მიერთებით, - განაცხადა „ევროპელი დემოკრატების“ თავმჯდომარე პაატა დავითაიამ. მისი თქმით, ამ მიზანს ემსახურება მოლაპარაკებები მოსკოვში აფხაზეთის დე ფაქტო პრეზიდენტ ასლან ბჟანიასთან და ცხინვალის სეპარატისტული რეჟიმის ლიდერ ალან გაგლოევთან.

მოამზადა
ია შველიძემ

ვარსკვლავების გამზრდელი ვარსკვლავი

იშვიათად თუ ნახავთ ადამიანს. რომელსაც ასე ზედმიწევნით შეეფერებოდეს სიტყვა ვარსკვლავი მთელი თავისი მნიშვნელობითა და ბრწყინვალეებით. თვით ჰოლივუდის კაშკაშა მნათობებსაც რომ შევადაროთ, მარიამ (მარინა) ჯახუტაშვილი თავისი ხატებით, ნიჭიერებითა და შემოქმედებით არავის ჩამოუვარდება. დიახ, ეს ვარსკვლავი რამდენიმე ათეული წელია ანათებს ქართულ საოპერო სამყაროს, ეს ვარსკვლავი ყველა ჩამოსული სტუმრისთვის ქართული ხელოვნების მიღწევებისა და ქართული ჯიშის სილამაზის მაჩვენებელია. ეს ვარსკვლავი ყოველთვის, მაშინაც, როცა მისი თანამედროვეობა ისტორიას ჩაბარდება, გაანათებს და შეამკობს მშობლიური ქალაქისა და ქვეყნის ისტორიას.

20 თებერვალს ქართველი საოპერო მომღერლის, ბათუმის სახელმწიფო მუსიკალური ცენტრის საოპერო დასის დაარსების ინიციატორის, ახალგაზრდა ვოკალისტთა თაობების აღმზრდელის, ბსუ-ის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის სრული პროფესორის, საქართველოს დამსახურებული მასწავლებლის, მემედ აბაშიძის სახელმწიფო პრემიის ლაურეატის, საპატიო ბათუმელის მოღვაწეობა სამუდამოდ აღინიშნება ვარსკვლავის გახსნით, რომელიც ბათუმის მუსიკალური ცენტრის შესასვლელში დაიდებს ბინას და მრავალი ათეული წელი იქნება იმ სიყვარულისა და პატივისცემის გამოხატულება, რომელიც ამ უნიკალურმა პიროვნებამ თავისი შეუდარებელი ნიჭიერებით, შრომისმოყვარეობითა და უაღრესად დადებითი პიროვნული თვისებებით მოიმკო.

მარინა ჯახუტაშვილმა ჯერ თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის კონსერვატორიის საოპერო სტუდიასა და ზაქარია ფალიაშვილის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრში, შემდეგ ბათუმის საოპერო თეატრის სცენაზე დაუვიწყარი სახეები შექმნა. მისი გამორჩეული, ბრწყინვალე გარეგნობა და ულამაზესი ხმის ტემბრი, ოსტატობასა და გონიერებასთან ერთად, ის იშვიათი და ბედნიერი თანხვედრაა, რითაც ეს მომღერალი სცენაზე დიდხანს კაშკაშისთვის იყო „განწირული“. მისი ეთერი ზაქარია ფალიაშვილის „აბესალომ და ეთერიდან“ თვალსაც იტაცებდა, სმენასაც და გულსაც. იგივე შეიძლება ითქვას მის მიერ განსახიერებულ ყველა როლზე.

მასზე საუბრობენ...

თუმცა მარინა ჯახუტაშვილის პროფესიულ ღირსებებზე პროფესორი, კონცერტმაისტერი და პედაგოგი მარინა მეტრეველი უკეთ იტყვის. მან დიდი როლი შეასრულა ჯერ კიდევ დამწყები ვოკალისტის პროფესიულ ზრდაში.

- კლასში რომ შევედი, დანახვისთანავე მომხიბლა მისმა გარეგნობამ. ახლაც მახსოვს ის კლასი, რომლის ფანჯარასთან იჯდა ზეციდან ჩამოფრენილი ანგელოზი, არაჩვეულებრივი სილამაზის გოგონა, შესანიშნავი, მოკრძალებული, სათნო. გხიბლავდა არა მარტო გარეგნობით, არამედ ქცევითაც, ძალიან ლამაზი ხმის ტემბრით. ნიჭიერებისა და გულმოდგინების წყალობით მალე განვითარდა როგორც მომღერალი. სტუდენტობის პერიოდშივე რამდენიმე შესანიშნავი სოლოკონცერტი ჰქონდა. როგორც კი დაამთავრა თბილისის კონსერვატორია, ამიერკავკასიის ვოკალისტთა და ინსტრუმენტალისტთა კონკურსის ლაურეატი გახდა. მან მოიპოვა მოსკოვის დიდ თეატრში სტაჟირების გავლის უფლება, მანამდე სტაჟირება გაიარა გერმანიის ქალაქ ვაიმარის ფერენც ლისტის სახელობის უმაღლეს სამუსიკო სასწავლებელში. დიდი წარმატებით მოიარა ევროპა საგასტროლო ტურნეთი. სერიოზული პარტიები იმღერა საოპერო სტუდიაში: მარო (ზაქარია ფალიაშვილის „დაისიდან),“ ვიოლეტა (ჯუზეპე ვერდის „ტრავიატადან“), ხოლო ქეთოს პარტია (ვიქტორ დოლიძის „ქეთო და კოტედან“) უკვე თბილისის საოპერეო თეატრის სცენაზე შეასრულა. ნოდარ ანდღულაძესთან ხშირად მუშაობდა, მის სახლში ვიკრიბებოდით. მარინა მონაწილეობდა ბატონი ნოდარის მიერ გამართულ კონცერტებში. მან წარმატებით შეასრულა პარტიები გამოჩენილ ქართველ დირიჟორ ჯანსუღ კახიძესთან თანამშრომლობით. „ქეთო და კოტე“ დაიდგა სპეციალურად მისთვის. მოსკოვის პეტრე ჩაიკოვსკის დიდ საკონცერტო დარბაზში შეასრულა ვერდის „რექვიემი“, რომლის დროსაც სიმფონიურ ორკესტრს ჯანსუღ კახიძე დირიჟორობდა. მოსკოვის დიდი თეატრის სოლისტებთან ერთად მონაწილეობდა კონცერტებში, ასევე მილანის ლა სკალას საოპერო თეატრის ცნობილი ტენორის ბერგონცის ღია გაკვეთილებში, სადაც ისე იმღერა ტოსკა (პუჩინის „ტოსკადან“), რომ ბერგონცი აღტაცებული იყო. ერთ სუნთქვაზე შეასრულა ურთულესი ადგილი, ბრავოსა და ტაშის გრიალში დატოვა დარბაზი. ბათუმში დადგმულ ყველა საოპერო სპექტაკლში აქვს ნამღერი მთავარი პარტიები. ბათუმში თუ ოპერა არსებობს და წარმატებულია, ამაში მარინას უდიდესი წვლილი აქვს შეტანილი. მივესალმები აჭარის მესვეურთა ამ გადაწყვეტილებას - ვარსკვლავის გახსნით დააფასონ მარინას თავდაუზოგავი შრომა. პედაგოგიურ მოღვაწეობასაც თავდადებულად ეწევა.ზრდის ახალგაზრდებს. გვერდით უდგას მათ. შეუსვენებლად შრომობს. ჩვენ დღემდე გვაქვს შემოქმედებითი ურთიერთობა. შესანიშნავი მასტერკლასები გვქონდა. ვთხოვე, მისი მოსწავლეების მონაწილეობით კონცერტი თბილისში გაემართა, რადგან, მართლაც, გამოსამზეურებელია მისი ნამუშევარი ამ ახალგაზრდებში. მას ყოველთვის გამოარჩევდა ნიჭიერება, შესანიშნავი სმენა, მეტყველება, რაც მთავარია, ვოკალი. პედაგოგის ჩარევა დიდად არ სჭირდებოდა, იმდენად ბუნებრივად ჰქონდა ბევრი რამ, რაც საოპერო მომღერალს სჭირდება - არაჩვეულებრივი სუნთქვა, ფრაზირება, გემოვნება, დიაპაზონი. არასოდეს უთქვამს, ავად ვარ და ვერ ვიმღერებო. მისთვის მიუწვდომელი არაფერი არსებობდა უსაზღვრო ნიჭიერების წყალობით. ისე მეტყველებდა იტალიურადაც, რუსულადაც, ფრანგულადაც და გერმანულადაც, თითქოს ამ ქვეყნების წარმომადგენელი ყოფილიყო. ზედმიწევნით იცავდა მუსიკალური ტექსტის სიზუსტეს, სიღრმისეულად გადმოსცემდა დრამატურგიულ იდეას და შინაარსსაც. თავს არასდროს აძლევდა ამ ყველაფრისადმი ზერელე დამოკიდებულების უფლებას, - გვითხრა მარინა მეტრეველმა.

მარინა ჯახუტაშვილის აღზრდილების სახელების ჩამოთვლაც კმარა, რომ დაასკვნა, მას თვითნაბადი ნიჭის დანახვის, დახვეწის და წარმოჩენის იშვიათი უნარი აქვს და თავად ვარსკვლავს არაერთი ვარსკვლავი ჰყავს აღზრდილი. შემიძლია ამის დასტურად ისიც ვთქვა, რომ ჟურნალისტებთან საუბარშიც აღსაზრდელებზე გაცილებით დიდხანს და ენთუზიაზმით ლაპარაკობს, ვიდრე საკუთარ თავზე. სხვათა შორის, ცოტა ვინმემ თუ იცის, რომ ამჟამად ძალიან წარმატებული და საზღვარგარეთ ფართო საოპერო წრეებში აღიარებული ტენორი ირაკლი კახიძე, როგორც თავად ამბობს, პედაგოგის გარეშე რჩებოდა ბათუმის კონსერვატორიაში სწავლის დროს, ეს მისია მარინას რომ არ ეკისრა.

- მუსიკალური სასწავლებლის მესამე კურსის დასრულების შემდეგ პირდაპირ ჩავბარე ბათუმის კონსერვატორიაში, ანუ არ მაქვს მუსიკალური სასწავლებლის დიპლომი. ამის გამო არავის უნდოდა ჩემი პედაგოგობა, მხოლოდ მარინა ჯახუტაშვილმა გარისკა და გაბედა ირაკლი კახიძის აყვანა კლასში, თორემ, ფაქტობრივად, ვრჩებოდი უპედაგოგოდ. ვულოცავ აჭარას და სრულიად საქართველოს, რომ მალე კიდევ ერთი საოცარი ქართველი მომღერლის ვარსკვლავი აკაშკაშდება. მარინა ჯახუტაშვილს, როგორც ქაშაკაშვილის სკოლის თვალსაჩინო წარმომადგენელს, ნამდვილად ეკუთვნის ბათუმისგან და მთელი საქართველოსგან ვარსკვლავის საზეიმო გახსნა. კიდევ ერთხელ ვადასტურებ ჩემს დიდ პატივისცემას მის მიმართ, მადლობას ვუხდი იმ წვლილისთვის, რაც შეტანილი აქვს აჭარის, ზოგადად, საქართველოს საოპერო ხელოვნების განვითარებაში. მოგეხსენებათ, მარინას მეთაურობით გაიხსნა საოპერო სტუდია, რომელიც გაგრძელებაა ბათუმის შესანიშნავი საოპერო თეატრისა. ვულოცავ და ვუსურვებ დიდხანს სიცოცხლეს, ჯანმრთელობას, კიდევ ბევრი მომღერალი აღეზარდოს საქართველოსთვის, - ასე გამოხატა პატივისცემა და სიყვარული მაესტრასადმი ირაკლი კახიძემ.

დირიჟორმა ზაზა აზმაიფარაშვილმა კი, რომელთანაც მარინა ჯახუტაშვილი ხშირად თანამშრომლობს (ასევე - დავით მუქერიასა და ავთანდილ მამაცაშვილთან), შეკითხვაზე, რა თვისებები ეხმარება მარინას, როგორც ზოგადად, თავის პროფესიაში, ისე საოპერო დასის ხელმძღვანელის რთული მისიის შესრულებაში, ასე გვიპასუხა:

იხ. გვ-5 გვ.

ISSN 2720-8702

9 772720 870003

გამოიწერეთ გაზეთი «აჭარა»!

ვისაც სურს მიიღოს მაქსიმალურად ზუსტი ინფორმაცია და ობიექტური ანალიზი არა მარტო ჩვენი რეგიონის, სრულიად საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული ცხოვრების მთავარი მოვლენების შესახებ, შესაბამისი თხოვნით მიმართოს სადისტრიბუციო ორგანიზაციას «ბათუმი ექსპრესი» (ქ. ბათუმი, ჭავჭავაძის ქ. №90, ტელ: 555 86 12 21). მისი დახმარებით თქვენს მისამართზე მიიღებთ გაზეთ «აჭარის» ყოველ მომდევნო ნომერს.

გამოიწერეთ და ითანამშრომლეთ გაზეთ «აჭარასთან»!

ჩვენთვის ძვირფასია თითოეული თქვენგანის აზრი!

წამოჭრილი პრობლემების შემთხვევაში დაგვიკავშირდით:

577 20 43 55.

აჭარაში ტყის მდგრადი მართვის პროექტი განხორციელდება

ნაილი ხერთვისელი 27 48 93

აჭარის მთავრობის პრესსამსახურის მიერ გავრცელებული ინფორმაციით, აჭარაში ტყის მდგრადი მართვის პროექტის განხორციელება იწყება

პროექტი „ტყის მდგრადი მართვა აჭარაში“ დაფინანსებულია გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მიერ, ხორციელდება გერმანიის რეკონსტრუქციისა და განვითარების საკრედიტო ბანკის (KfW) მხარდაჭერით და მისი ბიუჯეტი შეადგენს 7,4 მლნ ევროს. პროექტის განმახორციელებელი კონსორციუმი აერთიანებს ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდის (WWF) კავკასიის პროგრამის ოფისს, ორგანიზაცია HessenForst-ს.

აჭარის მთავრობის თავმჯდომარემ პროექტის პრეზენტაციაში მიიღო მონაწილეობა და აჭარაში ტყის მდგრადი მართვის პროექტის განხორციელების მნიშვნელობაზე ისაუბრა. თორნიკე რიყვაძემ აღნიშნა, რომ პროგრამის დაწყება დაეხმარება აჭარის სატყეო სააგენტოს ინსტიტუციურ გაძლიერებაში, ასევე, მნიშვნელოვანი იქნება ტყის მოვლა-შენახვისა და აღდგენის მხრივ.

- გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობასთან, ასევე, განვითარებისა და რეკონსტრუქციის ბანკთან ერთად მნიშვნელოვანი პროექტის განხორციელებას ვიწყებთ, რომლის ფარგლებშიც მოხდება როგორც აჭარის სატყეო სააგენტოს ინსტიტუციური გაძლიერება, ასევე, ტყის რესურსების, მთლიანად სატყეო ფონდის აღდგენა-კონსერვაცია, - აღნიშნა მან. პროექტი ხელს შეუწყობს აჭარის სატყეო სააგენტოს ტყის მართვის სრულყოფილ ორგანოდ გარდაქმნას, რომელიც განახორციელებს ტყის მდგრადი მართვის სრულ ციკლს, მათ შორის, ტყის მოვლა-აღდგენას, კონსერვაციული ღონისძიებების დანერგვას, კლიმატური ცვლილებების მიმართ ტყის მდგრადობის გაძლიერებას, ტყით სარგებლობასა და საშეშე-სამასალე მერქნით მოსახლეობის უზრუნველყოფას.

პროექტის წარდგენის ღონისძიებას აჭარის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე დავით გაბაიძე, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე კახა კაკაბაძე, ეროვნული სატყეო სააგენტოს უფროსი კახა ცერცვაძე, ბათუმის მერი არჩილ ჩიქოვანი, აჭარის მინისტრთა კაბინეტის წევრები, მუნიციპალიტეტის წარმომადგენლები, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საელჩოს, რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკ KfW-ს რეგიონული ოფისის დირექტორი სამხრეთ კავკასიაში, WWF-ის კავკასიის პროგრამის ოფისის რეგიონალური დირექტორი და სხვა ოფიციალური პირები ესწრებოდნენ.

სოფლის მეურნეობის მინისტრის სამუშაო ვიზიტი – აშშ-ში

დარინა ბაბაიძე 514 22 22 80

აჭარის სოფლის მეურნეობის მინისტრმა ზაზა შავაძემ, მინისტრის მოადგილე უჩა სურმანიძემ და სოფლის მეურნეობის მიმართულებით დარგის სპეციალისტებმა, აშშ-ში სამუშაო ვიზიტის ფარგლებში, დასკვნითი შეხვედრები ვაშინგტონში გამართეს

შეხვედრები გაიმართა აშშ-ის სოფლის მეურნეობის დეპარტამენტის (USDA) ადმინისტრაციის მაღალი რგოლის ხელმძღვანელებთან. მათ შორის, აშშ-ის სოფლის მეურნეობის დეპარტამენტის საგარეო სამსახურის ადმინისტრატორთან დანიელ ვიტლისთან და აშშ-ის სოფლის მეურნეობის დეპარტამენტის საგარეო სამსახურის უფროს დირექტორთან ოტო გონსალესთან.

დელეგაციის წევრები გაეცნენ სოფლის მეურნეობის დეპარტამენტის სხვადასხვა აქტივობას და USDA-ს აჭარაში აგრარული ექსტენციის მიმართულებით დაგეგმილი პროექტები და პრიორიტეტები გაუზიარეს. ასევე, მადლობა გადაუხადეს აშშ-ის მთავრობას აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის და სრულიად საქართველოს მოსახლეობის სახელით. USDA -ს მენეჯმენტმა გამოხატა მზაობა ხანგრძლივი და მდგრადი მხარდაჭერისთვის, განსაკუთრებით, აგრარული განათლების, ახალი ტექნოლოგიების იმპლემენტაციის და კლიმატ გონივრული სოფლის მეურნეობის მიმართულებით.

ვიზიტის ფარგლებში შეხვედრები 10 დღის განმავლობაში აშშ-ის სხვადასხვა შტატში მიმდინარეობდა, შეხვედრები გაიმართა ტეხასის და ოჰაიოს შტატებში აგრარულ ექსტენციაში ჩართული სხვადასხვა ინსტიტუციის ხელმძღვანელობასთან, მათ შორის, ტეხასის შტატის ექსტენციის ცენტრის ჰიუსტონის წარმომადგენლობასთან, Prairie View A&M უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან და აკადემიურ პერსონალთან, ოჰაიოს შტატის ექსტენციის ოფისში, Central State უნივერსიტეტის პრეზიდენტთან, ასევე, ტეხასის და ოჰაიოს შტატის იმ სკოლებთან, რომლებიც ექსტენციაში არიან ჩართულები.

ვიზიტის მიზანი იყო აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში ექსტენციის სერვისების მხარდაჭერა და ბათუმის შოთა რუსთაველის უნივერსიტეტის ბაზაზე აგრარული საგანმანათლებლო მიმართულებების განვითარება.

საქართველოს მხრიდან აშშ-ში გამართულ შეხვედრებს ასევე ესწრებოდნენ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი მერაბ ხალვაში, უნივერსიტეტის თანამშრომლები, მეცნიერი მუშაკები, აშშ-ის სოფლის მეურნეობის დეპარტამენტის (USDA) წარმომადგენელი დემნა ძირკვაძე, „მომავლის ფერმერის“ თავმჯდომარე და პროექტის მენეჯერი გოჩა შაინიძე.

პროექტი მიმდინარეობს სოფლის მეურნეობის ექსტენციის პროექტის ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს „მომავლის ფერმერი“ აშშ-ის სოფლის მეურნეობის დეპარტამენტის მხარდაჭერით.

აშშ-ში სამუშაო ვიზიტის ფარგლებში ზაზა შავაძე დელეგაციის სხვა წევრებთან ერთად, საქართველოს ელჩს დავით ზალკალიანს შეხვდა. საუბარი შეეხო აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ განხორციელებულ და მიმდინარე პროექტებს, რომლებიც აშშ-ის სოფლის მეურნეობის დეპარტამენტის მხარდაჭერით მიმდინარეობს. მინისტრმა მადლობა გადაუხადა ბატონ ელჩს წლების განმავლობაში გაწეული მხარდაჭერისთვის, ხაზგასმით აღნიშნა რეგიონში სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარებაში მათ მიერ შეტანილი წვლილი.

ვიზიტთან დაკავშირებით გვესაუბრა აგრარული ექსტენციის განყოფილების სპეციალისტი გიორგი მახარაძე.

- ვიზიტის მიზანი იყო აგრარული ექსტენციის მიმართულებით ამერიკის შეერთებული შტატების გამოცდილების გაზიარება, მისი აგრარული ექსტენციის პროგრამის შესწავლა, რათა წარმატებით მოხდეს აშშ-ის ექსტენციის მეთოდოლოგიების და მიდგომების იმპლემენტაცია აჭარის რეგიონში ექსტენციის სერვისების მიწოდების დროს. ვიზიტის დროს აშშ-ის სოფლის მეურნეობის დეპარტამენტის წარმომადგენლებმა და ექსტენციაში ჩართულმა მხარეებმა სრული მხარდაჭერა გამოგვიცხადეს. დაიგეგმა აშშ-ის წარმომადგენლების საპასუხო ვიზიტი აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში, - გვითხრა მან.

ვიზიტი დაიგეგმა და განხორციელდა აშშ-ის სოფლის მეურნეობის დეპარტამენტის მოწვევით და მხარდაჭერით.

თოვლმა მაღალმთიანეთში პრობლემები შექმნა

ომარ ცინარიძე 599 85 21 14

თოვლი, ყინვა, ქარბუქი რეგიონის მაღალმთიანეთისთვის ხშირია, მაგრამ ასეთი, ისიც თებერვლის მეორე ნახევარში, იშვიათობაა. სტიქიის შემოტევას ადგილობრივი მოსახლეობა მუნიციპალიტეტების ხელმძღვანელობასთან ერთად უმკლავდება, რაც ხულოს, შუახევისა და ქედის მუნიციპალიტეტების მერებთან საუბარში გამოიკვეთა.

ვახტანგ ბერიძე,

ხულოს მუნიციპალიტეტის მერი:

- მთისპირა სოფლებში თოვლის საფარის სიმაღლე უკვე 3 მეტრზე მეტია, დაბა ხულოში 2 მეტრს აღწევს. სტიქიის შემოტევის გამო, მუნიციპალიტეტის მეტწილ სკოლებში სასწავლო პროცესი გადაიდო და იგი დასვენების დღეების ხარჯზე ანაზღაურდება. წინა წლებში სერიოზული პრობლემები გვქონდა აბონენტებისთვის დენის მიწოდებაში. ამჯერად მშრალი თოვლია და ელექტრომეურნეობა მნიშვნელოვნად არ დაზიანებულა. მთავარი პრობლემა საავტომობილო გზებზე შეიქმნა. სტიქიის შემოტევის დღეებში ხულოში იმყოფებოდნენ აჭარის საავტომობილო გზების დეპარტამენტის ხელმძღვანელი მამუკა თურმანიძე, მისი მოადგილე როლანდ ბოლქვაძე. 15 და 16 თებერვალს გზების თოვლის საფარისგან გაწმენდაზე 20-მდე ერთეული ტექნიკა მუშაობდა. 17 თებერვალს, დილით, ხულოს ცენტრიდან ბათუმის მიმართულებით მოძრავ მიკროავტობუსებს გადაადგილების პრობლემა შეექმნათ. მოძრაობა, ისიც მოცურების საწინააღმდეგო ჯაჭვებით, დღის მეორე ნახევარში ნაწილობრივ აღდგა. ჯერჯერობით დასახლებულ ტერიტორიაზე ზვავის ჩამოწოლის შემთხვევა არ ყოფილა, თუმცა თოვლის მასა საშიშროებას ნამდვილად გვიქმნის და წინასწარი ღონისძიებებიც ტარდება. დაბა ხულოს სასიცოცხლო ობიექტებში დასაქმებულები ორგანიზებულად მუშაობენ, მოსახლეობა პურით მარაგდება.

ომარ ტაკიძე,

შუახევის მუნიციპალიტეტის მერი:

- 43 სოფელსა და 25-ზე მეტ დასახლებულ უბანში, ჯერჯერობით, დიდთოვლობას უმკლავდებიან. 16 თებერვალს საავტომობილო გზების თოვლის საფარისგან გასაწმენდად 17 ერთეული ტექნიკა გამოვიდა, მაგრამ შუახევი-შუბნის, ხიჭაური-ჭვანა-ჟანივრის, შუახევი-უჩამბის მიმართულებით გზების გაწმენდით სამუშაოებს შედეგი არ მოჰყოლია - ღამით მოსულმა თოვლმა გზები ისევ დაფარა. ბევრ სკოლაში სასწავლო პროცესი შეჩერდა. 16 თებერვალს, დღის საათებში, შუახევი-ბათუმის საავტომობილო გზაზე ტრანსპორტის გადაადგილება შეზღუდული იყო. მოძრაობა 12 საათისთვის განახლდა. წელს გაწეულ შრომას ვერ დავუკარგავთ «ენერგოპრო ჯორჯიას» შუახევის ცენტრის ხელმძღვანელობასა და პერსონალს. 16 თებერვალს დღის პირველ ნახევარში დენი ყველა აბონენტს მიეწოდებოდა. დღის მეორე ნახევარში, ძლიერი ქარბუქის გამო დაბა შუახევის ცენტრში და რიგ სოფლებში დენის მიწოდება დროებით შეიზღუდა, თუმცა საღამოს საათებში აღადგინეს. დენის მიწოდება დროებით შეიზღუდა ჭვანის ხეობისა და უჩამბის ადმინისტრაციული ერთეულის სოფლებში. სამაშველო სამსახურის მაშველებს თოვლში ჩარჩენილი ადამიანები, ავადმყოფები გადმოჰყავთ, სოფელ ტბეთიდან დროულად გადმოიყვანეს 48 წლის ნათელა დავითაძე და მას საჭირო დახმარება შუახევის ჰოსპიტალში გაუწიეს. თანადგომას, ტექნიკის სათადარიგო ნაწილებით მომარაგებას არ გვაკლებენ აჭარის საავტომობილო გზების დეპარტამენტის ხელმძღვანელები. დაბაში პური ცხვება და მოსახლეობა ადგილზე გამომცხვარი პურით მარაგდება. 17 თებერვალს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, ავარიული სიტუაციის გამო, გაითიშა ინტერნეტი.

როლანდ ბერიძე,

ქედის მუნიციპალიტეტის მერი:

- ტრანსპორტის გადაადგილება დროებით შეიზღუდა ქედა-წონიარისის გზის ორ მონაკვეთზე ზვავების ჩამოწოლის გამო. ზვავები ჩამოდის ქედა-მერისის, დანდალო-ხარაულის, უჩხითი-მერისის, ზვარე-ზესოფლის გზებზე. აჭარის საავტომობილო გზების დეპარტამენტის 16 და ქედის მუნიციპალიტეტის 2 ერთეული ტექნიკა მუშაობს გზების გაწმენდაზე. მუნიციპალიტეტის სოფლებში დენის მიწოდებაში მცირეოდენი შეფერხებები იყო, რაც სამუშაო რეჟიმში გამოსწორდა. გამართულად მუშაობს სასიცოცხლო ობიექტები. რიგ სკოლებში სასწავლო პროცესი დროებით შეწყდა. თოვლის საფარი ქედის ცენტრში 1,5 მეტრს აჭარბებს, სოფლებში - 2 მეტრს. 17 თებერვალს, დღის მეორე ნახევარში, თითქმის ყველა აბონენტს დენის მიწოდება აღუდგა. მოსახლეობას მოვუწოდებთ, რომ ზვავ და მეწყერსაშიშ ტერიტორიებზე გადაადგილებისგან თავი შეიკავონ.

დასავლეთი პირობას დებს, რომ ბოლომდე უკრაინის გვერდით იქნება

ლაშა ხომერიკი 593 50 82 69

2023 წელი უმნიშვნელოვანესი იქნება მთელი მსოფლიოსთვის იმ იტომ, რომ 24 თებერვლის შემდეგ აღმოვჩნდით ახალ გეოპოლიტიკურ რეალობაში, რომელიც მეორე მსოფლიო ომის დაწყებისა და საბჭოთა კავშირის დაშლის პერიოდებს ჰგავს

ომი ჯერ არ დასრულებულა, მის შედეგზეა დამოკიდებული პლანეტის მომავალი. ეს ლიტონი სიტყვები არ არის. რეალურად, უკრაინაში ერთმანეთს რუსეთი და კოლექტიური დასავლეთი ებრძვის. ცხადია, უკრაინელთა თავგანწირვა და შემართება აღტაცებას იწვევს. მთავარ როლს მათ თანადგომაში აშშ და დიდი ბრიტანეთი თამაშობენ, ისინი ყველაფერს აკეთებენ, რომ უკრაინამ ამ ომში გაიმარჯვოს.

ომის პირველი დღეებიდანაც რუსეთი უკრაინისგან მოითხოვდა, რომ მისი მიზნები გაეთვალისწინებინა, რატომღაც ყველა (განსაკუთრებით - გერმანიასა და საფრანგეთში) ელოდა უკრაინელთა კაპიტულაციას. ამ მხრივ გასული წლის თებერვლის მიწურული განსაკუთრებით კრიტიკული იყო. ყველას ახსოვს, რუსულმა საჯარისო ნაწილებმა კიევის მახლობლად როგორ მიიტანეს გოსტომელისა და ანტონოვის მნიშვნელოვან აეროდრომებზე იერიში. რუსეთის არმიას რომ აეღო ეს აეროდრომები, პრაქტიკულად, კიევის დაცვა გაძნელდებოდა. სწორედ ამ კუთხით იყო აღსანიშნავი ამერიკული დახმარება. როგორც ახლა ირკვევა, უკრაინელები არ ელოდნენ ომის დაწყების პირველ საათებში ამ აეროდრომებზე რუსეთის ჯარის შტურმს. ამ ვერსიას ამყარებს ახლახან „ვაშინგტონ პოსტში“ გამოქვეყნებული სტატიაც, სადაც აღნიშნულია, რომ გასულ კვირას და ომის დაწყებამდე რამდენიმე დღით ადრე კიევში საიდუმლოდ იმყოფებოდა ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს შეფი, რომელმაც დეტალურად გააცნო არსებულ ხელისუფლებას კრემლის გეგმები, ანუ რუსეთის ჯარი სად მიიტანდა პირველ იერიშებს. დასახელდა ორი ზემოაღნიშნული აეროდრომიც. მათზე მართლაც მიიტანეს იერიში რუსულმა ელიტარულმა სამხედრო ნაწილებმა, რომლებიც უკრაინელებმა გაანეიტრალეს. გარდა ამისა, ასობით ვერტმფრენი და ჯავშანტექნიკა გააუვნებელყვეს. ეს მნიშვნელოვანი ფაქტორი აღმოჩნდა ოკუპანტებთან ბრძოლაში და ფსიქოლოგიური უპირატესობის მოსაპოვებლად. ცალსახად უნდა ითქვას, დასავლეთის დახმარება და განსაკუთრებით - დიდი ბრიტანეთის თანადგომა რომ არა, ომამდეც, ომის პირველივე დღეებშიც და დღესაც უკრაინაში სხვა სიტუაცია იქნებოდა. დასავლურმა შეიარაღებამ რუსული ტექნიკის დიდი ნაწილი გაანადგურა. ახლაც მძიმე ტექნიკა და არტილერია დიდი რაოდენობით მიედინება უკრაინისკენ, თუმცა ისიც ხაზგასასმელია, რომ უკრაინას სჭირდება ამერიკული გამანადგურებელი თვითმფრინავები და ტანკები, რათა შეტევები განახორციელოს ყირიმის და დონბასის მიმართულებით. ამგვარი შეიარაღების მიწოდებაზე დასავლეთი დათანხმდა. „რამშტაინის“ შეხვედრაზე არაორაზროვნად ითქვა, რომ დროთა განმავლობაში უკრაინა მნიშვნელოვან შეიარაღებას მიიღებდა ოკუპირებული ტერიტორიების გასათავისუფლებლად.

მაინც, რატომ წამოიწყო რუსეთმა ომი უკრაინაში? ამ კითხვაზე სხვადასხვა პასუხი არსებობს, თუმცა ერთ-ერთი ამერიკელი ანალიტიკოსის აზრი მინდა გამოვარჩიო. „პუტინმა ეს ომი თავისი ძალაუფლების გასაძლიერებლად დაიწყო. პუტინის შეჩერება შეუძლია ძლევამოსილ ჯარს შესაბამისი შეიარაღებითა და შესაბამისი მოტივაციით. ეს შეუძლია უკრაინულ ჯარს“, - ამბობს ბილ ბრიუდერი, მსოფლიოში ცნობილი „მაგნიტსკის აქტის“ თანაავტორი და ფინანსისტი. როგორც ექსპერტები აცხადებენ, რუსეთში აგრესიის სათავე და გეგმა დიდი ხანია არსებობდა, ჯერ კიდევ ძერჟინსკის მმართველობის დროიდან. ის, როგორც ცნობილია, „კეგებეს“ პირველი შეფი იყო, სადისტი, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით. მან მოხაზა ეს გეგმა, რომლის არსია მთელი უკრაინის, ბელარუსის, მოლდოვის, საქართველოს დაპყრობა, ასევე ბალტიისპირეთის ანექსიაც, აღარაფერს ვამბობ შუა აზიასა და კავკასიაზე. ზემოაღნიშნული გეგმა საბჭოთა კავშირმა თავის დროზე სისრულეში მოიყვანა, თუმცა ბოროტების იმპერიის ნგრევის შემდეგ რუსეთი თავდაცვის რეჟიმში იმყოფებოდა, მხოლოდ პუტინის მმართველობისას დაიწყო კრემლმა თანმიმდევრულად იმპერიის აღდგენა - ჯერ მისი ლობისტების (გერმანიის, საფრანგეთის) მეშვეობით დაბლოკა საქართველოს და უკრაინის ნატოში გაწევრიანება, შემდეგ 2008 წელს საქართველოს წინააღმდეგ აგრესია განახორციელა, რასაც 2014-ში ყირიმის ანექსიაც მოჰყვა. დასავლეთმა ამაზეც დახუჭა თვალი, კრემლთან ეკონომიკური ურთიერთობა გააგრძელა. აღსანიშნავია ისიც, რომ ევროპა გათიშული იყო, დიდი სამეული (გერმანია, საფრანგეთი, იტალია) პუტინთან მაამებლურ ურთიერთობაში იყო. დიდმა ბრიტანეთმა ევროკავშირის რიგები დატოვა, ამერიკაში ტრამპის ეპოქა დაიწყო, რომელიც დროდადრო ანტინატოურ განცხადებას ახმოვანებდა... როგორც ჩანს, რუსეთმა ვერ შეაფასა უკრაინული ჯარის სიძლიერე და დასავლეთის თანადგომის ხარისხი. ამ ომში რუსეთის პროგრამა მაქსიმუმი იყო - ოდესის რეგიონის გავლით დნესტრისპირეთიდან დაამყაროს სახმელეთო კორიდორი და „ანაკონდის რკალით“ მოწყვიტოს უკრაინა შავ ზღვას და მხოლოდ კონტინენტზე ჩაკეტილ სახელმწიფოდ გადააქციოს. ამით იგი სამ უმნიშვნელოვანეს ამოცანას გადაჭრის: 1. მთლიანად დაამყარებს კონტროლს ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთზე; 2. შავი ზღვის სანაპიროებისგან მოწყვეტით უკრაინა დაკარგავს ეკონომიკური განვითარების უდიდეს პოტენციალს, საზღვაო და სატრანსპორტო ფუნქციას. კიევს ევროპასთან ეკონომიკური ურთიერთობებისთვის მხოლოდ ერთადერთი, სახმელეთო გზა დარჩება, სადაც კომუნიკაციების განვითარება და მასზე სავაჭრო-სატრანსპორტო სისტემების გადაწყობა ხანგრძლივი, რთული, ძვირად ღირებული იქნება; 3. ეკონომიკურად დაუძლურებული უკრაინა მარტივად მოექცევა რუსეთის გავლენის ქვეშ. კრემლის ეს გეგმა ჩაიშალა უკრაინელთა და დასავლეთის ძალისხმევით. გაფიქრებაც შემზარავია, რა შეიძლებოდა მოჰყოლოდა უკრაინელთა მარცხს ამ ომში - კრემლი უპრობლემოდ დაიპყრობდა მოლდოვას, ბელარუსი ისედაც მისი სატელიტია, შუა აზიაც რუსეთის ორბიტაში მოექცეოდა და აღდგებოდა განახლებული საბჭოთა კავშირი გაუარესებული სახით, სადაც დომინანტი რუსეთი იქნებოდა. ეს გეგმა უკრაინამ ჩაშალა და ამის გაუაზრებლობა უმადურობა იქნებოდა. როგორც ჩანს, რუსეთი არ ელოდა მოვლენების ასეთ განვითარებას, ვერ წარმოედგინა, რომ ასეთ წინააღმდეგობას წააწყდებოდა... როცა უკრაინამ პირველი იერიშები მოიგერია, ოკუპანტებისგან გაათავისუფლა კიევისა და ხარკოვის ოლქები, კრემლის მუქარები მეტწილად ხორბლის, შემდეგ - ბირთვული იარაღის შანტაჟს უკავშირდებოდა, როდესაც ამან არ გაჭრა, ამუშავდა რუსული ლობისტების (გერმანია, საფრანგეთი) ნარატივი, რომ რუსეთს სახე უნდა შეუნარჩუნდეს, ამგვარი მესიჯები ევროპისგან არახალია. თავის დროზე კრემლმა მოახერხა სწორედ გერმანიის, საფრანგეთის და იტალიის ლიდერების, ასე ვთქვათ, დარწმუნება ნატოს არგაფართოებასთან დაკავშირებით, რამაც საბოლოოდ მიგვიყვანა რუსეთ-უკრაინის ომამდე. საერთოდ, რუსეთი რომ ბოროტების ნავსაყუდელია, ომის დაწყების პირველი დღიდანვე გამოჩნდა, აღარაფერს ვამბობ უკრაინელთა გენოციდზე, ეს ქვეყანა (რუსეთი) საკუთარ მოსახლეობას არ ზოგავს. ამ ომში თავდაპირველად კრემლმა, ძირითადად, ნაციონალური უმცირესობები - ბურიატები, იაკუტები, დაღესტნელები გაგზავნა, მაშინ პეტერბურგელებს და მოსკოველებს საომრად არ უშვებდნენ, თუმცა იძულებული გახდნენ, საყოველთაო მობილიზაცია გამოეცხადებინათ, ამჟამადაც ასობით რუსი ოკუპანტი ნადგურდება ბახმუტსა და ლუგანსკის რეგიონებში. სწორედ ამ ფონზე, ბოლო ერთი კვირაა, გაძლიერდა ის სიგნალები, რომლებიც დასავლეთიდან მოდის, რომ არ ეშინია რუსეთის და ომი სადამდეც უნდა გაგრძელდეს, დასავლეთი გვერდით დაუდგება უკრაინას. მსგავსი განცხადებები ბოლო დღეებში გაკეთდა დიდი ბრიტანეთის, ნორვეგიის, ფინეთის, აშშ-ის და სხვა ქვეყნების მხრიდან. მიუხედავად ამისა, ანალიტიკოსთა ნაწილი რუსეთის მხრიდან არ გამორიცხავს ახალ შეტევას კიევზე. ამის შესახებ საუბრობს ექსპერტი ანდრეი ილარიონოვი. მისი თქმით, რუსეთის არმია თებერვლის მიწურულს ორი ფრონტით დაიწყებს ახალ შეტევას კიევზე და ლვოვის მიმართულებით, რათა მომარაგების დერეფანი გადაუკეტოს კიევს, თუმცა გავლენიანი ანალიტიკოსი ანდრეი შვეცი აცხადებს, რომ მსგავსი ოპერაციის ჩატარებას კრემლი ვერ შეძლებს, რადგან ამისთვის საკმარისი ჯარი არ ჰყავს.

> ***„ ამ ომში თავდაპირველად კრემლმა, ძირითადად, ნაციონალური უმცირესობები - ბურიატები, იაკუტები, დაღესტნელები გაგზავნა, მაშინ პეტერბურგელებს და მოსკოველებს საომრად არ უშვებდნენ, თუმცა იძულებული გახდნენ, საყოველთაო მობილიზაცია გამოეცხადებინათ, ამჟამადაც ასობით რუსი ოკუპანტი ნადგურდება ბახმუტსა და ლუგანსკის რეგიონებში. სწორედ ამ ფონზე, ბოლო ერთი კვირაა, გაძლიერდა ის სიგნალები, რომლებიც დასავლეთიდან მოდის, რომ არ ეშინია რუსეთის***

ცხადია, რუსეთის მარცხი პრაქტიკულად ყველა პოსტსაბჭოთა ქვეყნის, განსაკუთრებით საქართველოსა და მოლდოვის ინტერესებშია, რომელთა ტერიტორიები რუსეთს ოკუპირებული აქვს, რადგან ეს ახალ შესაძლებლობებს გულისხმობს, მათ შორის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციას.

სამმხრივი შეხვედრა – პირველად

ჩრდილოატლანტიკური ალიანსის პრესსამსახურის მიერ გავრცელებული ინფორმაციით, ნატო, ევროკავშირი და უკრაინა სამმხრივ შეხვედრას პირველად გამართავენ.

მათი ცნობით, ნატოს გენერალური მდივანი იენს სტოლტენბერგი, ევროკავშირის უმაღლესი წარმომადგენელი საგარეო საქმეთა და უსაფრთხოების საკითხებში ჯოზეფ ბორელი და უკრაინის საგარეო საქმეთა მინისტრი დმიტრო კულება ერთმანეთს 21 თებერვალს ბრიუსელში, ნატოს შტაბ-ბინაში შეხვდებიან, რის შემდეგაც პრესკონფერენცია გაიმართება.

„ველი იენს სტოლტენბერგთან და ჯოზეფ ბორელთან შეხვედრას, რათა გავაძლიეროთ ჩვენი პარტნიორობა და თანამშრომლობა უკრაინისა და ევროპის დაცვისთვის“, - განაცხადა კულებამ.

საგარეო უწყებების ხელმძღვანელებს შეხვდება. ამის შემდეგ ევროპელი მინისტრები მოლდოვის საგარეო საქმეთა მინისტრ ნიკუ პოპესკუსთან ცალკე გამართავენ შეხვედრას.

ცნობისთვის: *20 თებერვალს საგარეო საქმეთა მინისტრების დონეზე ევროკავშირის საბჭოს სხდომის გახსნამდე კულება ევროკავშირის წევრი ქვეყნების*

ამირან გურიელიძე

უცხოეთი

გერმანიის ქალაქ მიუნხენში, მსოფლიო ლიდერების მონაწილეობით, გუშინ უსაფრთხოების კონფერენცია გაიხსნა, რომლის მუშაობაში გერმანიის კანცლერი ოლაფ შოლცი, საფრანგეთის პრეზიდენტი ემანუელ მაკრონი და აშშ-ის ვიცე-პრეზიდენტი კამალა ჰარისიც მონაწილეობენ. კონფერენციის მთავარი თემა უკრაინაში მიმდინარე ომი და მსოფლიოში შექმნილი უსაფრთხოების გამოწვევებია. მიუნხენის უსაფრთხოების კონფერენცია 19 თებერვლის ჩათვლით გაგრძელდება.

* * *

რუსეთისა და დასავლეთის დაპირისპირების ახალი ეპოქა შეიძლება დიდხანს გაგრძელდეს, - განაცხადა ნატოს გენერალურმა მდივანმა იენს სტოლტენბერგმა. მისი თქმით, რუსეთსა და დასავლეთს შორის ურთიერთობებში ცვლილებები შესაძლოა მოულოდნელად მოხდეს. „პრეზიდენტ პუტინს სხვა ევროპა სურს, ისეთი, სადაც მეზობლების კონტროლი შეუძლია, სადაც თვითონ გადაწყვეტს, ქვეყნებს რისი გაკეთება შეუძლიათ. გრძელი გზისთვის უნდა ვიყოთ მზად. ეს შეიძლება გაგრძელდეს მრავალი, მრავალი, მრავალი, მრავალი წლის განმავლობაში“, - განაცხადა სტოლტენბერგმა.

* * *

საფრანგეთში საპენსიო რეფორმას აპროტესტებენ. პარიზსა და ქვეყნის დიდ ქალაქებში მასობრივი საპროტესტო გამოსვლებია. მთავრობა საპენსიო ასაკის 2 წლით გაზრდას გეგმავს. პროფკავშირების ლიდერები ხელისუფლებას კანონპროექტის უკან გახმობისკენ მოუწოდებენ, წინააღმდეგ შემთხვევაში კი 7 მარტს მასობრივი გაფიცვის ორგანიზებას აპირებენ. თავის მხრივ, პრეზიდენტი ემანუელ მაკრონი აცხადებს, რომ სახელმწიფო საპენსიო სისტემის კოლაფსის თავიდან ასაცილებლად, რეფორმა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია.

* * *

აშშ მზადაა, საჭიროების შემთხვევაში, დაიცვას ლატვია, ლიეტუვა და ესტონეთი და შეინარჩუნოს თავისი სამხედრო ყოფნა რეგიონში, - განაცხადა აშშ-ის თავდაცვის მინისტრმა ლოიდ ოსტინმა. „მინდა, დღეს ესტონელ ხალხს გარკვევით ვუთხრა ერთი რამ - შეერთებული შტატები ჩვენი ბალტიისპირელი მოკავშირეების თავისუფლებისა და სუვერენიტეტის მიმართ მხარდაჭერას ურყევად გააგრძელებს“, - აღნიშნა ოსტინმა ტალინში გამართულ ბრიფინგზე. პენტაგონის ხელმძღვანელის თქმით, აშშ გააგრძელებს მუშაობას ბალტიისპირეთის ქვეყნებთან, რათა რეგიონში საერთო უსაფრთხოებისთვის გააძლიეროს ნებისმიერი საფრთხის შეკავება.

* * *

ევროპარლამენტში კორუფციული სკანდალის საქმეზე ეჭვმიტანილთა რიცხვი შესაძლოა, გაიზარდოს. საუბარია ბელგიელ მარია არენასა და იტალიელ ალეესანდრა მორეტიზე, რომლებიც კორუფციის, ფულის გათეთრებისა და კრიმინალური ორგანიზაციის წევრობის ბრალდებით დაკავებულ კოლეგა ანდრეა კოცოლინოს დაპატიმრების ორდერში არიან ნახსენები. ამჟამად დაკავებულნი არიან ასევე ევროდეპუტატები მარკ ტარაბელა და ევა კაილი.

მოამზადა
ია შველიძემ

„სამოქალაქო აქტივისტის და მწერლის ბუნება მიბიძგებს, ვიბრძოლო ბოლო ამოსუნთქვამდე“

მარიამ ხითარიშვილი 27 48 93

*ქვეყანაში განვითარებული მოვლენები გულგრილს არავის ტოვებს. ოპოზიციის და მმართველი გუნდის დაპირისპირება არაერთ საკითხში ვლინდება. ერთ-ერთია ევროკავშირის მიერ შემოთავაზებული 12 პუნქტის შესრულება. ოპოზიცია უკმაყოფილოა ამ მხრივ ხელისუფლების საქმიანობით, რასაც, მათი თქმით, ევროპარლამენტის შენიშვნები და რეკომენდციები ცხადყოფს. მმართველი გუნდი არ იზიარებს ოპოზიციის და, ასევე, ევროსაბჭოს შენიშვნებს და აცხადებს, რომ ქვეყანა თანმიმდევრულად ვითარდება. გარდა ამისა, მთავარ ოპოზიციურ ძალას („ნაცმოძრაობას“) ახალი ლიდერი ჰყავს, რაც, ექსპერტთა თქმით, შიდა განხეთქილების ნიმუშია. ოპოზიცია ქუჩის აქციებს აორგანიზებს, ამ მხრივ პოლიტიკური აქტორები აქტიურდებიან. მათ შორის, აღსანიშნავია სამოქალაქო აქტივისტი **გენრი დოლიძე**, რომელიც აქტიურ პოლიტიკაში ბრუნდება და მნიშვნელოვან სიახლეებს აანონსებს. იგი ქვეყანაში განვითარებულ მოვლენებზე გვესაუბრება.*

- ბატონო გენრი, ამბობთ, რომ აქტიურ პოლიტიკას უბრუნდებით, რომელიმე პარტიაში აპირებთ გაწევრიანებას, თუ თანამოაზრეებთან ერთად ახალ ორგანიზაციას შექმნით?

- „ქართული ოცნების“ „დამსახურებით“, საქართველო, თავისი დამოუკიდებლობის ისტორიაში, ყველაზე ახლოს დგას რუსეთთან, ქართველი ხალხი კი, ყველაზე ახლოს - გარუსების საფრთხესთან. ყოველდღიურად, პერსპექტივის, იმედის, ლუკმა-პურის, სამართლიანი გარემოს საძებნელად, ჩვენს ქვეყანას ათასობით ქართველი ტოვებს, პარალელურად, საქართველოში, გაურკვეველი მიზნებით ათიათასობით რუსი შემოედინება. ერთ დღესაც, მოვთვალე და, 2022 წლიდან მოყოლებული, აშშ-ში ჩემი უფრო მეტი მეგობარია სამუშაოდ წასული, ვიდრე საქართველოში დარჩა. ხალხს აქვს ტოტალური უიმედობის და უპერსპექტივობის განცდა, რამაც, გულწრფელად გეტყვით, მეც ამიტანა. ამ ყველაფრის შემხედვარეს გრჩება ორი არჩევანი: ან ემიგრანტთა დიდ ნაკადს უნდა შეუერთდე და საზღვარგარეთ გახიზნო ოჯახი, ან დაიკაპიწო ხელები, იპოვო თანამოაზრეები და წინ აღუდგე რუსული ბოროტების მანქანას. ემიგრაციაში წასვლის პრობლემა ნამდვილად არ მაქვს, ხვალვე შემიძლია ლეგალურად ვიცხოვრო ევროკავშირში, მაქვს მოქმედი პროექტი, ხელფასი და უფასო საცხოვრებელი უმაგრეს სახელმწიფოში, ესტონეთში. ერთი პერიოდი, შეიძლება ითქვას, „ჩემოდნებზე ვიჯექი“, მაგრამ სამოქალაქო აქტივისტის და მწერლის ბუნება მიბიძგებს, ვიბრძოლო ბოლო ამოსუნთქვამდე. ჩვენი პრობლემების უმრავლესობის წყაროა რუსეთი და რუსი ოლიგარქი. განათლებას, ეკონომიკურ განვითარებას, ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას, ევროინტეგრაციას, სიტყვის და გამოხატვის თავისუფლებას ორი კაცი უშლის ხელს, რუსეთში - პუტინი და საქართველოში - ივანიშვილი. ამიტომ, გადავწყვიტე, შევუერთდე გუნდს, რომელიც ყველაზე ახლოს დგას ჩემს პრინციპებთან, ღირებულებებთან...

- როგორია თქვენი აზრი დღეს ქვეყანაში მიმდინარე პროცესებზე, რა ასპექტებს გამოყოფდით?

- როგორც ზემოთ ვისაუბრე, ყველა პრობლემა სათავეს იღებს რუსეთიდან. რუსეთს არ აძლევს ხელს ერთიანი, ჯანსაღი, განათლებული, განვითარებული ქართველი ერი, ამიტომაც მილიარდობით რუბლი ხმარდება სიცრუის, ფეიკ-ნიუსების, რუსული ნარატივის ტირაჟირებას. როგორც კი საქართველო ჩაებმება ევროპულ მატარებელს, სხვა ევროპული ქვეყნების სიჩქარით დაიწყებს სვლას განვითარებისკენ. რიგითი ქართველი იგრძნობს, რას ნიშნავს ღირსეული ყოფა, ადამიანური ჯანდაცვისა და სოციალური პოლიტიკა, ადეკვატური ხელფასი და აღარასოდეს გაიხედავს რუსეთისკენ, როგორც ეს გააკეთეს პოლონეთმა, ესტონეთმა, ლიეტუვამ, ლატვიამ... ამიტომ, რუსეთი ყველა ძალით ცდილობს გზაზე გადაგვეღობოს. გაზრდილი კრიმინალიც, კორუფციაც, განუკითხაობაც, მიგრაციაც - ყველაფერი რუსული ხელწერაა.

- მნიშვნელოვანი თემები ჩამოთვალეთ, რაზეც ოპოზიციას და მმართველ პარტიას განსხვავებული მოსაზრებები აქვთ. მინდა გკითხოთ: მოქალაქის, მწერლის გადასახედიდან, რამდენად სახელმწიფოებრივად მოქმედებენ პარტიები თუნდაც ქვეყნისთვის მნიშვნელოვან საკითხებთან დაკავშირებით?

- ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი მთავარი პრობლემა გახლავთ ის, რომ ზვიად გამსახურდიას ხელისუფლების დამხობის შემდეგ, ერთი და იგივე სახეები ქმნიან პოლიტიკურ დღის წესრიგს. ეს ეხება ოპოზიციასაც და ხელისუფლებასაც. პარტიების დასახელება იცვლება, მაგრამ „ასარჩევთა გადანაცვლებით“ ჯამი, ანუ - „ისთებლიშმენტი“ არა. იგი სავსეა ძველი „კაგებეს“ და დღევანდელი „ეფსებეს“ აგენტებით, ამიტომ, ხშირად, პოლიტიკოსები პირად ან უცხო ქვეყნის ინტერესებს სახელმწიფოებრივზე უფრო წინ აყენებენ. ჩემი აზრით, საბჭოთა სკოლის ლიდერები, როგორც „პოლიტიკური კლასი“ - ლუსტრაციის კანონით უნდა ჩაირეცხოს და ქვეყნის მართვის სადავეებთან უნდა მოვიდნენ სუფთა სახეები. ქვეყანას ახალი სისხლი სჭირდება.

- ოპოზიციის და მმართველი პარტიის დაპირისპირება, ძირითადად, ევროკავშირის მიერ შემოთავაზებული 12 პუნქტის შესრულებას უკავშირდება, ამ მიმართებით რა მოცემულობა გვაქვს?

- „ქართული ოცნება“ არის რუსული პროექტი, პრორუსების კი არა, პირდაპირ, რუსების პარტია, რომელიც დაინტერესებულია, საქართველო არ მოსწყდეს რუსულ ორბიტას და არ გადაერთოს ევროპულ ტალღაზე... ამის ნათელი დასტურია ღიად ანტიევროპული „პარტია“ - „ხალხის ძალა“, რომელიც „ქართული ოცნების“ წიაღში დაიბადა და მიუხედავად იმისა, თითქოს დატოვა მმართველი პარტია, არ ტოვებს უმრავლესობას, სიმბიოზშია ივანიშვილი-კობახიძე-ღარიბაშვილის გუნდთან. პატარა ბავშვიც კი ხვდება, რომ „ქართული ოცნება“ რუსეთის გულშემატკივარია და რუსეთის გულშემატკივარი ყველა ღონეს იხმარს, რომ ევროკავშირის წევრი არ გახდეს ჩვენი ქვეყანა.

- მმართველი გუნდის წევრები აცხადებენ, რომ ქვეყანა ვითარდება და ოპოზიციის ბრალდებები უსაფუძვლოა...

- თქვენ მინდა გკითხოთ, ჟურნალისტს და მოქალაქეს, ასევე, ამ გაზეთის მკითხველს ვეკითხები, თუ ქვეყანა ვითარდება, მაშინ ეშელონებით რატომ გარბის ხალხი ემიგრაციაში? დაითვალეთ, რამდენი თქვენი მეგობარი, მეზობელი და ახლობელია შრომითი მიგრანტი თურქეთში, ან ევროკავშირში? რამდენი წავიდა მექსიკის „ჯოჯოხეთური“ საზღვრის გავლით არალეგალად ამერიკაში? რამდენს აქვს „მწვანე ბარათის“ აპლიკაცია შევსებული? რამდენი „ზის ჩემოდნებზე“? თუ ყველაფერი კარგადაა და ეკონომიკა თუხთუხებს, მაშინ ეს ხალხი საკუთარი თავის მტერია, თავ-ქუდ მოგლეჯილი რომ გარბის ქვეყნიდან?

- ამ ბოლო დროს ხშირად გაისმის კრიტიკული შეფასებები ზოგიერთი ევროპარლამენტარის მხრიდან (ქვეყნის დემოკრატიის თვალსაზრისით). ეს რისი მანიშნებელია?

- მმართველობის პირველ პერიოდში „ქართული ოცნება“ კარგად ახერხებდა თავისი რუსული საქმეების შეფუთვას პროევროპული ნიღბით, შესაბამისად, დასავლეთს სჯეროდა, რომ საქართველოს ხელისუფლება იზიარებდა ქვეყნის გაცხადებულ პროდასავლურ კურსს. თუმცა უკრაინის ომმა და რუსეთის ფორსმაჟორულმა მდგომარეობამ ცხადჰყო, რომ საქართველოს ხელისუფლება (და არა ხალხი!), არა თუ არ ეხმარება თავის სტრატეგიულ პარტნიორს და ისტორიულ მეგობარ უკრაინას, არამედ ოკუპანტი რუსეთის მხარეს არის და მას სანქციების გვერდის ავლაში უწყობს ხელს. ივანიშვილიც მიხვდა, რომ აღარ გამოსდიოდა ევროპელობანას თამაში და ღიად გაუხსნა პოლიტიკურ-იდეოლოგიური ცეცხლი დასავლეთს. თქვენ ამბობთ, „ზოგიერთი ევროპარლამენტარი“, სინამდვილეში - „აღმოსავლეთ გაფართოებაზე“ მომუშავე ყველა ევროპარლამენტარი აღშფოთებული და იმედგაცრუებულია ჩვენი ხელისუფლების ღიად რუსული პოლიტიკით. ვილნიუსში ვიზიტის დროს ვესაუბრე რამდენიმე ევროპარლამენტარს, ვინც წლების განმავლობაში იყო ჩვენი ქვეყნის ევროინტეგრაციისა და ნატოში გაწევრიანების ხმალამოღებული ქომაგი, ისინი შეურაცხყოფილები არიან ჩვენი ხელისუფლების საქციელითა და „ქართული ოცნების“ სპიკერების ბინძური მესიჯბოქსით მათ მიმართ. იმ ყველაფრის ფონზე, რომ ევროპამ კანდიდატის სტატუსი არ მოგვცა, აქეთ - რუსეთი ფრენების აღდგენას გვპირდება... ვახტანგ ღლონტის ფრაზა მახსენდება: „ძმებთან ძმობაზე უარი ვთქვით, მტრებთან სუფრაზე წავუთვერით, თვითონ ვლანძღეთ და ვაპარტახეთ, რაც მტრებს გადარჩათ წაურთმევი“, მოკლედ უკუღმა ვითარდება ჩვენი ქვეყანა.

- ექსპერტები სამწუხარო ტენდენციაზე ამახვილებენ ყურადღებას: „ხალხის ძალის“ წევრები აცხადებენ, რომ დასავლეთს საქართველოს ომში ჩართვა სურს. მსგავსი ანტიდასავლური ნარატივის გაჟღერება რამდენად სახიფათოა საქართველოს ევროპული ინტეგრაციის თვალსაზრისით?

- ყველა განათლებულმა ადამიანმა იცის, რომ ევროპას ჩვენთვის ომი არასოდეს მოუტანია. აი, რუსეთმა, ბოლო ოცდაათ წელიწადში, ოთხი ომი „გვისახსოვრა“: სამაჩაბლოს, აფხაზეთის, თბილისის სამოქალაქო და აგვისტოს ომი. ევროპა და ევროკავშირი ზუსტად იმიტომ გვინდა, რომ ომი არ მოხდეს. ბოლო-ბოლო, გერბზე გვიწერია: „ძალა ერთობაშია“, მტერთან ერთობაში კი არა, მტრის წინააღმდეგ ერთობაში! ჩვენ გაგვიმართლა, რომ მთელი ცივილიზებული სამყარო დღეს რუსეთის წინააღმდეგ არის, ანუ ჩვენს მხარესაა, „ხალხის ძალა“ კი მტრის მხარეს არის და მთელი ცივილიზებული სამყაროს წინააღმდეგ.

- ცხადია, გვერდს ვერ ავუვლით იმ მოვლენებს, რაც „ნაცმოძრაობაში“ მოხდა. ამბობენ, რომ რეალურად ხაბეიშვილი ნომინალური ლიდერია, მის უკან კი მერაბიშვილი და კეზერაშვილი დგანან. თქვენი აზრი ამის შესახებ...

- სხვა პარტიის შიდა საკითხების განხილვა არაკორექტული იქნება ჩემი მხრიდან, ერთს კი გულწრფელად ვიტყვი: პერსონალურად გიორგი კირთაძეს ვგულშემატკივრობ, როგორც ახლებური ხედვის, ახალი სულისკვეთების, ახალი სტილის პოლიტიკოსს, ვუგულშემატკივრებ ყველგან და ყოველთვის. მან შეძლო აქამდე შეუძლებელი, აჭარაში დიდ ერთობას ჩაუყარა საფუძველი და დაამტკიცა, რომ ჩვენი განსხვავებების მიუხედავად, ქვეყნის სამსახურში გაერთიანება ერთადერთია, რაც ამ ჭაობიდან ამოგვიყვანს, დაგვამარცხებინებს სტაგნაციას და რუსულ ძალას. შეგახსენებთ, რომ ამ ერთობის იდეამ არჩევნებში დაამარცხა საკრებულოს „ქართული ოცნების“ გუნდი და არჩილ ჩიქოვანი. აქვე აღვნიშნავ: ენმ-ში ერთმანეთთან შეპაექრებულ ორივე მხარეს არიან პიროვნებები, რომლებსაც პატივს ვცემ პერსონალურად, მათი დამსახურებისა და ადამიანობის გამო. რაც შეეხება, დგანან თუ არა ახალი თავმჯდომარის უკან კეზერაშვილი და მერაბიშვილი, ამაზე უნდა იფიქროს ენმ-ის ამომრჩეველმა, მე მაქვს ჩემი გზა, სხვა ვექტორი და დღის წესრიგი.

- „ნაცმოძრაობაში“ წარმოქმნილი პრობლემები, როგორც ექსპერტები აცხადებენ, ხელისუფლების წისქვილზე ასხამს წყალს. აქედან გამომდინარე, დღეს რა სტადიაშია ოპოზიცია და, ამ მხრივ, რეალურად რატომ არ იქმნება მძლავრი მესამე ძალა?

- ოპოზიციის დაქსაქსულობა, არათანმიმდევრულობა, ურთიერთდაპირისპირება არის მიზეზი იმისა, რომ ჩვენ, ჯერჯერობით, ვერ შეგძელით დამანგრეველი ანგარიშით გაგვენადგურებინა „ქართული ოცნება“, ოთხ და ხუთ პროცენტს კი ადმინისტრაციული რესურსის, სუსის და პარტიული ცესკოს ხარჯზე, ნებისმიერ არჩევნებში წარმატებით გვპარავს მმართველი პარტია. მინდა ვთქვა, რომ სამეულის გაერთიანება („დროა“ - „გირჩი“ - „სტრატეგია აღმაშენებელი“), ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯია ახალი სიმძიმის ცენტრის შექმნისკენ. მნიშვნელოვანია, რომ ეს არ არის, ნაუცბათევად, წინასაარჩევნოდ შექმნილი მოჩვენებითი გაერთიანება, მას დიდი დრო აქვს თავისი ძალების დემონსტრირებისა და სოლიდური რაოდენობის ამომრჩევლის მოზიდვისთვის.

- 15 თებერვალს ევროპარლამენტმა მიიღო რეზოლუცია, სადაც აღნიშნულია, რომ ხელისუფლებამ სააკაშვილი სამკურნალოდ უცხოეთში უნდა გაუშვას... მმართველი გუნდის აზრით, სააკაშვილი თავისი მდგომარეობით სპეკულირებს..

- არ აქვს მნიშვნელობა, მიხეილ სააკაშვილის მმართველობას დადებითად ვაფასებთ, თუ უარყოფითად, ქვეყნის რეფორმატორად მიგვაჩნია, თუ სისტემური დანაშაულის მფარველად. ფაქტია, რომ დაპატიმრების დღიდან მას არ უქმნიან ელემენტარულ, ადამიანურ პირობებს. შეუიარაღებელი თვალითაც ჩანს, რომ მისი ფიზიკური მდგომარეობა სავალალოა. ის არგუმენტი რომ „მიშა დამნაშავეა და ეკუთვნის“, ცივილიზებულ, სამართლებრივ სახელმწიფოს არ შეეფერება. მე ვაპროტესტებდი პატიმრების წამებას მიშას დროს და ზუსტად ვიცოდი, რომ არაადამიანურად ვისაც ექცეოდნენ, ყველა უდანაშაულო და წმინდანი არ იყო. პატიმრისთვის არსებობს სამართლიანი სასჯელი და არა წამება, დამცირება და ღირსების შელახვა. მით უმეტეს, როცა პირადად ვლადიმერ პუტინი არის დაინტერესებული მისი სულიერი განადგურებით. თუ მიშა იმიტომ დაიჭირე, რომ მურუსიძე-ჩინჩალაძის სასამართლო არ მოგწონდა მის დროს, მაგრამ მასაც იგივე სისტემით ასამართლებ, მაშინ უნდა მიუჯდე გვერდით. სამწუხაროდ, ჩვენმა ხელისუფლებამ წინამორბედისგან მხოლოდ მანკიერებები გადმოიღო. რა თქმა უნდა, მივესალმები ევროპარლამენტის რეზოლუციას და მიმაჩნია, რომ სააკაშვილის სასჯელის გადავადებით და ევროპაში სამკურნალოდ გაგზავნით ქვეყანა დაისვენებს იმ ტოქსიკური გარემოსგან, რაშიც გვიწევს ცხოვრება.

- ურთიერთბრალდებები ქართულ პოლიტიკაში ახალი არ არის, მაგალითად, „ლეიბორისტული პარტიის“ ლიდერი შალვა ნათელაშვილი საპარლამენტო ოპოზიციას ხელისუფლებასთან ალიანსში ადანაშაულებს, მიზეზად მათი მხრიდან პარლამენტის არდატოვება დაასახელა...

- ჩემი აზრით, ოპოზიციის ადგილი პარლამენტში და საკრებულოშია. თვითიზოლაციაში თავის მოქცევა კოზირის და ბერკეტის დაკარგვაა. ხელისუფლებას უნდა ებრძოლო ყველა პლატფორმიდან. სხვა საქმეა, არჩევნების შემდეგ შედეგების არაღიარება და გაყალბების გამო არშესვლა, მაგრამ თუ ერთხელ შედიხარ, გამოსვლა-შესვლა, ანუ - გვირილაზე მკითხაობა - „შევდივარ,“ „არ შევდივარ,“ „შევდივარ“, „არ შევდივარ“ ცოტა არასერიოზულია და აბნევს ამომრჩეველს.

- ამას წინათ NDI-მ გამოაქვეყნა გამოკითხვა სხვადასხვა თემაზე. უმუშევრობა აღნიშნული კვლევის მიხედვითაც პირველ ადგილზეა პრობლემური საკითხების ნუსხაში. რა არის ამის მიზეზი?

- მიზეზი ბევრია, კრიმინალი, არამდგრადი ეკონომიკა, კორუფცია, არასტაბილური საინვესტიციო გარემო. რუსულ სამყაროში დასავლურ მსხვილ კომპანიებს ინვესტირება არ სურთ, რუსული ფული, ამ ეტაპზე, მთლიანად ომს ხმარდება.

- დროდადრო პრეზიდენტი მმართველ პარტიას აკრიტიკებს სხვადასხვა საკითხთან დაკავშირებით. ექსპერტთა ნაწილი ამბობს, რომ სალომე ზურაბიშვილი ეტაპობრივად ცდილობს, მმართველ პარტიას გაემიჯნოს...

- ჩემი აზრით, პრეზიდენტს მმართველი პარტია კომპრომატებით ამუხრუჭებს. იგი რეალურად ვერასოდეს აღუდგება წინ იმ ძალას, რომელმაც მოიყვანა და დასვა ამ პოსტზე. მისი პროტესტი ბუტაფორიულია. ის გამოცდილი დიპლომატია და ცდილობს, თავისი მომავალი გადაირჩინოს პუტინის რუსეთის ჩაძირვის შემდეგ, რაც, ჩემი აზრით, არ გამოუვა.

- რუსეთ-უკრაინის ომი მთელი მსოფლიოს თავსატეხია. ამ მხრივ, რამდენად მნიშვნელოვანია თბილისში 24 თებერვალს დაანონსებული უკრაინის მხარდამჭერი აქცია?

- 24 თებერვლის აქცია აჩვენებს სად დგას ქართველი ხალხი, პუტინი-ივანიშვილის მხარეს, თუ ევროპული ღირებულებებისა და ჩვენი ქვეყნის სტაბილური განვითარების.

- დაბოლოს, უდავოა, რომ რუსეთ-უკრაინის ომის ბედი მრავალი ქვეყნის მომავალს გადაწყვეტს. მოვლენების რა განვითარებას ელოდებით და საქართველოს მომავალი როგორ გესახებათ?

- თუ გვინდა, ამ ომში რუსეთის დამარცხება ჩვენი გამარჯვებაც იყოს, რაც შეიძლება მალე უნდა მოვიცილოთ პრორუსი ხელისუფლება და როგორც სახალხო, ისე სახელმწიფოებრივ დონეზე მკაფიოდ დავიკავოთ სწორი პოზიცია.

> ***„ჩემი აზრით, ოპოზიციის ადგილი პარლამენტში და საკრებულოშია. თვითიზოლაციაში თავის მოქცევა კოზირის და ბერკეტის დაკარგვაა. ხელისუფლებას უნდა ებრძოლო ყველა პლატფორმიდან. სხვა საქმეა, არჩევნების შემდეგ შედეგების არაღიარება და გაყალბების გამო არშესვლა, მაგრამ თუ ერთხელ შედიხარ, გამოსვლა-შესვლა, ანუ - გვირილაზე მკითხაობა - „შევდივარ,“ „არ შევდივარ,“ „შევდივარ“, „არ შევდივარ“ ცოტა არასერიოზულია და აბნევს ამომრჩეველს***

ვარსკვლავების გამზრდელი ვარსკვლავი

პირველი გვერდიდან

- თავისი საქმის ოსტატი, უაღრესად მუსიკალურია, აქვს ძალიან ლამაზი ხმა და მდიდარი რეპერტუარი. ურთულესი პარტიები აქვს შესრულებული. ყოველთვის სიამოვნებას ანიჭებდა მაყურებელს მისი სიმღერით. გარდა იმისა, რომ ასეთი შრომისმოყვარე და პროფესიონალია, გამორჩეულია ნიჭით. ყველა თავის პარტიას სრულყოფილად ასრულებდა. მოსწავლეებზე გადაყოლილია და აკეთებს ძალიან დიდ საქმეს. მისმა აღზრდილებმა თბილისში გამართულ კონცერტზე წარმატებით იმღერეს. ამითაც ცხადია, რომ მარინა არ ჩერდება და მათთან მუდმივად, უმაღლეს დონეზე ხვეწს ვოკალის ტექნიკას. ყველაფერს აკეთებს, რომ მაქსიმუმი შეაძლებინოს თავის აღსაზრდელებს.

ფაქტები...

მარინა ჯახუტაშვილის შემოქმედებითი ბიოგრაფია ისე მდიდარია, რომ ერთ საგაზეთო წერილში ვერაფრით დავატევთ. მხოლოდ უმთავრესი მოვლენებით შემოვიფარგლებით და მარინა მეტრეველის მიერ აღნიშნულ ფაქტებს დავუმატებთ. თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში შესრულებული აქვს: ტატიანას (პეტრე ჩაიკოვსკის „ევგენი ონეგინი“), დეზდემონას (ჯუზეპე ვერდის „ოტელო“), ეთერის (ზაქარია ფალიაშვილის „აბესალომ და ეთერი“), მაროს („დაისი“) პარტიები, ასევე, ჯუზეპე ვერდის „რექვიემი“. ბათუმში ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის გახსნის (1993 წ.) შემდეგ მან დიდი წარმატებით იმღერა ეთერის („აბესალომ და ეთერი“), აიდას („აიდა“), დეზდემონას („ოტელო“) პარტიები. 1994 წელს მიიღო საქართველოს თეატრალური საზოგადოების მოღვაწეთა კავშირის ჯილდო ზაქარია ფალიაშვილის ოპერა „აბესალომ და ეთერიში“ ეთერის პარტიის საუკეთესო შესრულებისთვის.

2001 წელს ბათუმის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიასთან გახსნილი საოპერო სტუდიის დირექტორად დაინიშნა, 2005 წელს - ბათუმის სახელმწიფო კონსერვატორიის ზურაბ ანჯაფარიძის სახელობის საოპერო სტუდიის დირექტორად. მარიამ ჯახუტაშვილმა აქ დადგა

სერგეი რახმანინოვის ოპერა „ალეკო“, ზაქარია ფალიაშვილის „დაისი“, ჯუზეპე ვერდის „ტრავიატა“ და პიეტრო მასკანის „სოფლის ღირსება“. 2007 წელს ეს საოპერო სტუდია შეუერთდა ბათუმის სახელმწიფო მუსიკალურ ცენტრს, რომელსაც მარინა ჯახუტაშვილი ამიერიდან სამხატვრო ხელმძღვანელის რანგში წარუძღვება. მისი ხელმძღვანელობით აქ დაიდგა ჯუზეპე ვერდის „ტრავიატა“ (2007 წ.), პიეტრო მასკანის „სოფლის ღირსება“ (2008 წ.), გაეტანო დონიცეტის „ლუჩია დი ლამერმური“ (2012 წ.). 2016 წელს ბათუმის სახელმწიფო მუსიკალური ცენტრის დირექტორის ბრძანებით, საოპერო სტუდიის სახელწოდება შეიცვალა საოპერო დასით, რომელსაც სათავეში კვლავ მარიამ ჯახუტაშვილი ჩაუდგა. ამ სხვადასხვა სახელწოდებით ბათუმელი ვოკალისტების საოპერო დასი დიდ წარმატებებს აღწევს საქართველოშიც და მის ფარგლებს გარეთაც. მაგალითად, 2013 წელს ამ კოლექტივმა გაეტანო დონიცეტის „ლუჩია დი ლამერმურით“ (რეჟისორი დავით საყვარელიძე) ესტონეთის ქალაქ კურესარეში, საარემას ოპერის საერთაშორისო ფესტივალზე ფუროორი მოახდინა. საოპერო სტუდიის სოლისტებმა: ირაკლი კახიძემ, სულხან ჯაიანმა, ინგა ჯახუტაშვილმა, თეა დვალმა, მამუკა ლომიძემ, ირმა ყღენტმა, ნონა კორიფაძემ საქართველო ასახელეს. 2019 წელს იტალიის ქალაქ პეზაროში, ფრანკო კორელის სახელობის საკონცერტო დარბაზში ანშლაგით ჩაიარა საოპერო დასის სპექტაკლმა „ჯამბაზები“ (რუჯერო ლეონკავალო).

ბათუმის სახელმწიფო მუსიკალური ცენტრის სცენაზე ამ დასის ბაზაზე სხვადასხვა დროს დიდი წარმატებით დაიდგა ჟორჟ ბიზეს „კარმენი“ (რეჟისორი - გიზო ჟორდანია, დირიჟორი - ზაზა აზმაიფარაშვილი), ჯაკომო პუჩინის „ტოსკა“ (რეჟისორი - ჰანსიოაჰიმ ფრეი გერმანიიდან, დამდგმელი დირიჟორი - მაურიციო ჩამპი იტალიიდან, მხატვარი და სცენოგრაფი - პეტრე ოკუნევი), რუჯერო ლეონკავალოს „ჯამბაზები“, ჯაკომო პუჩინის „ბოჰემა“ (მონაწილეობდა ავსტრიელი ბარიტონი მიშელ ფიშერი, რეჟისორი და სცენოგრაფი - გეორგ რუთერინგი შვეიცარიიდან). დასი ინტენსიურად მუშაობს, რომ წელს დაიდგას ჯუზეპე ვერდის „ატილა“, ჯაკომო პუჩინის „ჩიო-ჩიო სანი“, ჯუზეპე ვერდის „აიდა“ და ვიქტორ დოლიძის „ქეთო და კოტე“.

საოპერო დასის სოლისტები: ირაკლი კახიძე, ოთარ ნაკაშიძე, სულხან ჯაიანი, არჩილ გოგიტიძე, ეთერ ხალვაში ინგა ჯახუტაშვილი აქტიურად მოღვაწეობენ ევროპის დიდი ქვეყნების საოპერო სცენებზე, სადაც არაერთ წარმატებას მიაღწიეს, ასე მაგალითად: ბათუმის სახელმწიფო მუსიკალური ცენტრის საოპერო დასის 11 სოლისტმა 2013-2014 წლებში აჭარის მთავრობისა და აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მხარდაჭერით, წარმატებით გაიარეს ერთწლიანი სტაჟირება საფრანგეთისა და იტალიის ოპერის წამყვანი თეატრების აკადემიაში. გაფორმდა ხელშეკრულებები საფრანგეთის, ნიდერლანდებისა და გერმანიის წამყვან საოპერო თეატრებთან. ისინი ახლაც წარმატებით აგრძელებენ შემოქმედებით საქმიანობას. აქვე უნდა აღინიშნოს იმ პერსპექტიული საოპერო მომღერლების: ნონა კორიფაძის, ირმა ყღენტის, ლელა სიხარულიძის, ირაკლი კორიფაძის, ტატა ჯიქიას, სალომე სალაძის შესახებ, რომლებსაც მალე ვიხილავთ ახალ საოპერო სპექტაკლებში. ცხადია, საოპერო დასის წარმატებაში განუზომელია მარინა ჯახუტაშვილის წვლილი, რომელსაც ყოველთვის მხარში უდგას ბათუმის სახელმწიფო მუსიკალური ცენტრის ხელმძღვანელობა. საოპერო დასი ბათუმის შემოქმედებითი ცხოვრების ნამდვილი სამკაული და ერთ-ერთი სავიზიტო ბარათია, რომელიც ყველა მნიშვნელოვან, მასშტაბურ ღონისძიებას ამშვენებს და უცხოელ სტუმრებს ჩვენს ქალაქზე საუკეთესო შთაბეჭდილებას უქმნის.

დაბადების 60 წლისთავთან დაკავშირებით ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიამ მიანიჭა „დამსახურებული მოღვაწის“ წოდება. 2020 წლის დეკემბერს ბათუმის მუნიციპალიტეტის პროგრამის „კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობის ხელშეწყობა“, ქვეპროგრამის „ხელოვანთა ხელშეწყობა“, პროექტის „წლის ხელოვანის“ ფარგლებში მარინა ჯახუტაშვილი „ხელოვნების დიდოსტატის“ ტიტულით დაჯილდოვდა.

საკუთარ თავზე...

დაბოლოს. რასაკვირველია, უნდა მოვუსმინოთ თავად ვარსკვლავს:

- როგორ ფიქრობ, რაა ის მთავარი, რაც ზუსტად იცი, რომ შეძელი ცხოვრებაში?

- ზუსტად ვიცი, რომ გავზარდე კარგი შვილი (ხათუნა ჩხარტიშვილი), რომელიც მუდამ საუკეთესო მეგობარივით მომყვება ცხოვრების გზაზე. ფაქტობრივად, ერთად გავიზარდეთ და ჩამოვყალიბდით. ამაყი ვარ ჩემი ოჯახით. შევდექი, როგორც პროფესიონალი მომღერალი და რაც ყველაზე მთავარია, მოვიპოვე მსმენელის სიყვარული და ჩემს ქვეყანას გავუზარდე არაერთი ნიჭიერი საოპერო მომღერალი.

- თავდაპირველად საესტრადო ანსამბლში მღეროდი, როდის და რატომ გადაწყვიტე, საოპერო ხელოვნებაში გეცადა ბედი?

- პირველად ბათუმის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის მუსიკალურ სასწავლებელში, თეორიულ განყოფილებაზე ჩავაბარე. ჩემი პედაგოგები იყვნენ ცნობილი თეორეტიკოსები: გურამ საღარაძე და ზაურ გოგოტიშვილი. სხვათა შორის, თეორიული ცოდნა ძალიან გამომადგა ვოკალისტის კარიერაში, საოპერო პარტიების მარტივად და სწრაფად ათვისებაში. მახსოვს, მუსიკალურ სასწავლებელში სწავლის პერიოდში მშობლებმა რევაზ ლაღიძის გენიალური ოპერა „ლელა“ მომასმენინეს, რამაც ისეთი საოცარი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე, რომ გადავწყვიტე, თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწოფო კონსერვატორიაში ვოკალის ფაკულტეტზე ჩამებარებინა და მოვხვდი პროფესორ მედეა გაბუნიას კლასში, რომელიც თავად ვალერიან ქაშაკაშვილის, იტალიური სკოლის - „ბელკანტოს“ წარმომადგენელი გახლდათ.

- იმან, რომ მშობლები ხელოვანები იყვნენ, თავისთავად, ალბათ გარკვეული როლი ითამაშა შენი ხელოვნებისკენ მისწრაფებაში?

- ცხადია. დედა, ლეილა ვერულაშვილი, აჭარის დამსახურებული მომღერალი, ფოლკლორისტი, აჭარის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის სოლისტი გახლდათ, მამა, თამაზ ჯახუტაშვილი - ამავე ანსამბლის მოცეკვავე. ჩვენს ოჯახში მუდამ ხელოვნებაზე იყო საუბარი. იკრიბებოდნენ ბათუმის საუკეთესო ხელოვანები. ამან ძალიან დიდი გავლენა მოახდინა ჩემზე. სხვათა შორის, მამას არაჩვეულებრივი საოპერო ხმა ჰქონდა, კარგად ერკვეოდა ამ სფეროში და ხშირად მიამბობდა საინტერესო ისტორიებს ცნობილ იტალიელ საოპერო მომღერლებზე. ერთი სიტყვით, იმთავითვე განსაზღვრული იყო ჩემი მომავალი, რაშიც ჩემი მშობლების უდიდესი წვლილი დევს.

- მომღერლად ჩამოყალიბება, ნიჭის გარდა, რომელმა პიროვნულმა თვისებებმა განაპირობა ყველაზე მეტად?

- შრომისმოყვარეობამ, მუსიკის სიყვარულმა, მიზანდასახულობამ და განვითარებისკენ მუდმივმა სწრაფვამ.

- საყვარელი პარტიები...

- ყველა პარტია ჩემთვის ერთნაირად ძვირფასი და პირველხარისხოვანია, თუმცა გამოვყოფდი ეთერის (ზაქარია ფალიაშვილის „აბესალომი და ეთერიდან“), აიდას (ჯუზეპე ვერდის „აიდადან“) და დეზდემონას (ჯუზეპე ვერდის „ოტელოდან“) დრამატული შინაარსით, სირთულით და პერსონაჟის პიროვნული სიძლიერით, რაც ასე ახლოსაა ჩემს ხასიათთან.

- რომელია ყველაზე რთული პერიოდი შენს ცხოვრებაში და რა დაგეხმარა მის დაძლევაში?

- ყველაზე ძვირფასი ადამიანის - ჩემი ახალგაზრდა ძმის გარდაცვალება იყო ყველაზე რთული. ჩვენ განსაკუთრებული ურთიერთობა გვქონდა. ის უზომოდ მუსიკალური და ნიჭიერი ადამიანი იყო. ძალიან მგულშემატკივრობდა და ვგრძნობდი, როგორ ამაყობდა ჩემით. მდგომარეობიდან გამოსვლაში ისევ ჩემი პროფესია დამეხმარა. თავით გადავეშვი საქმეში. ვცდილობდი, არ მეფიქრა ამ თემაზე. ძალიან გამიჭირდა, თუმცა ვისწავლე ტკივილთან ერთად ცხოვრება.

- საოპერო სტუდიის ჩამოყალიბების იდეა რამ გიკარნახა და ვინ დაგეხმარა ამაში?

- ბედნიერი ვარ, რომ უამრავი ბარიერის მიუხედავად, ბათუმის ოპერის თეატრის დახურვის შემდეგ შევქმენი საოპერო სტუდია მაშინ, როდესაც არავის სჯეროდა, რომ აჭარაში კვლავ განვითარდებოდა საოპერო ხელოვნება და აქ გაიზრდებოდნენ ადგილობრივი კადრები, თუმცა მე ეს შევძელი პროფესიონალი მუსიკოსების მხარდაჭერით და ესენია: დირიჟორები - ზაზა აზმაიფარაშვილი, რევაზ ტაკიძე, ავთანდილ მამაცაშვილი, ასევე ცნობილი საოპერო მომღერლები - მედეა ამირანაშვილი, ცისანა ტატიშვილი, თენგიზ მუშკუდიანი. და აი, ბათუმის სახელმწოფო მუსიკალური ცენტრის საოპერო დასის სტატუსით მოვედით დღემდე საინტერესო, მრავალფეროვანი საოპერო და საკონცერტო რეპერტუარით.

- რთული იყო თუ არა სასცენო ცხოვრებიდან პედაგოგიურ მოღვაწეობაზე გადასვლის ეტაპი?

- ძნელი ნამდვილად არ ყოფილა, პირიქით, სიამოვნებით გადავერთე, რადგან ვფიქრობდი, რომ როგორც მომღერალმა, მივაღწიე ჩემს მაქსიმუმს, ვიმღერე ჩემი ხმისთვის ყველა მნიშვნელოვანი პარტია და დავისახე მიზანი, რომ მშობლიურ ქალაქში აუცილებლად კვლავ უნდა ამეღორძინებინა საოპერო ხელოვნება, რადგან ამდენი ლამაზხმიანი სტუდენტი, ძალიან ნიჭიერი თაობა გვყავდა ბათუმის იმდროინდელ კონსერვატორიაში.

- ბევრი რამ მოასწარი და შეძელი, საკუთარი კვალი უკვე დაატყვე საოპერო ხელოვნებას, საკუთარ ქალაქს, ქვეყანას. არის ჩანაფიქრი, რომლის განხორციელებისთვის კვლავ აქტიურად აპირებ ბრძოლას?

- არის და ეს ჩემს ქალაქში საოპერო თეატრის კვლავ აღორძინებაა, რადგან ვთვლი, რომ ბათუმის სახელმწოფო მუსიკალურ ცენტრში ძლიერი საოპერო დასი გვყავს პროფესიონალი კადრებით - ჩვენი სოლისტები წარმატებით მოღვაწეობენ როგორც საქართველოში, ასევე ევროპის სხვადასხვა საოპერო თეატრში. საოპერო დასში წარმატებით დაიდგა რამდენიმე მსოფლიოში ცნობილი საოპერო სპექტაკლი. ეს ყველაფერი მაძლევს უზარმაზარ სტიმულს, ვიბრძოლო ამ იდეისთვის...

- გიფიქრია თუ არა მაშინ, როცა ხელოვანის გზას იწყებდი, რომ ოდესმე მშობლიურ ქალაქში შენი სახელობის ვარსკვლავი გაიხსნებოდა?

- არა. მსგავსი არაფერი მიფიქრია. ჩემი ყველაზე დიდი მიზანი და ოცნებაც ყოველთვის იყო და დარჩა ჩემს ქალაქში საოპერო თეატრის აღორძინება, თუმცა ვარსკვლავის გახსნისთვის მადლიერი ვარ ბათუმის სახელმწიფო მუსიკალური ცენტრის და ამ იდეის მხარდაჭერისთვის - ქალაქის ხელმძღვანელობის. იმაზე ძვირფასი არაფერია, როდესაც შენი შრომა ასე მაღალ დონეზე ფასდება.

მალე მარინა ჯახუტაშვილის ღვაწლი კიდევ ერთხელ წარმოჩნდება და დაფასდება მისი სახელობის ახალგაზრდა ვოკალისტთა საერთაშორისო ფესტივალის დაარსებით, ხოლო ქართველი და უცხოელი მსმენელი კიდევ ერთი საინტერესო მუსიკალური ფორუმის მომსწრე გახდება.

მარინა მითაიშვილი

თამარ ორაგველიძე: ბათუმი შესაძლებლობების ქალაქია და ბედნიერი ვარ, აქ რომ დავიბადე

მანანა ტაკიძე 577 10 15 17

*აჭარა ტურისტებისთვის წლის ნებისმიერ დროს საინტერესო და მიმზიდველია. დღითი დღე იზრდება რეგიონის გაცნობის მსურველთა რაოდენობა, რაშიც მათ ადგილობრივი კვალიფიციური გიდები ეხმარებიან. **თამარ ორაგველიძე** „მაგნოლია 2022“-ის დაჯილდოებაზე, სადაც აჭარაში საუკეთესო ტურისტული სერვისის მიმწოდებლები გამოვლინდნენ, საუკეთესო გიდად დასახელდა. იგი მასობრივი კომუნიკაციის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი, რადიოგადაცემა „ბათუმური დღიურების“ ავტორი და წამყვანი, ასევე, ტრენერი ტურიზმის დარგში და დამოუკიდებელი გიდია. ვფიქრობთ, მასთან ინტერვიუ საინტერესო იქნება ჩვენი მკითხველისთვის.*

- რას ნიშნავს თქვენთვის, იყო გიდი?

- გიდობა, უპირველესად, საკუთარი ქვეყნის არაფორმალური ელჩობაა. ძალიან სასიამოვნო და საპასუხისმგებლოა წარმოადგენდე შენს ქვეყანას, გქონდეს იმის შესაძლებლობა, გააცნო იგი სხვებსაც. რა თქმა უნდა, ამ ერთი ადამიანის უკან დგას მთელი დეპარტამენტი და მთლიანად, ტურიზმი, მაგრამ სტუმართან ურთიერთობისას მეტწილად შენზეა დამოკიდებული ქვეყნის პრეზენტაცია, რაც ძალიან დიდი პატივია ჩვენთვის.

- დღევანდელ დღემდე როგორ მოხვედით?

- საინტერესო გზებით ვიარე, ზოგმა წარმატება მომიტანა, ნაწილმა - გამოცდილება შემძინა. მოძღვრების პერსპექტივებზე ვისაუბრებ. მის ფარგლებში საშუალება გვაქვს დასვენების სასიამოვნო შთაბეჭდილებების, თავისუფალი დროის გატარების ან საქმიანი მიზნით მოგზაურობის თეორიული და პრაქტიკული ცოდნა გავუზიაროთ მოზარდებს. ეს მე და ჩემს მეგობრებს სიამოვნებას გვანიჭებს. რამდენიმე თვეა დავიწყეთ აღნიშნული აქტივობა. განხორციელებულთან ერთად, უკვე დიდია დაგეგმილი შეხვედრების სია, რაც ძალიან მახარებს.

- აჭარის მთავრობამ პრიორიტეტად დაისახა რეგიონის ოთხივე სეზონის ტურისტულად დატვირთვა. რამდენადაა მზად სექტორი ამისთვის?

- წელიწადის ოთხივე დრო თავისებურად მომხიბვლელია და შესაბამისად, მნიშვნელოვანია როგორც საერთაშორისო, ისე შიდა ტურიზმის განვითარების კუთხით. ე.წ. მკვდარი სეზონი აჭარაში დიდი ხანია არ არსებობს. მხოლოდ შეჯამებისას შეგვიძლია ვიმსჯელოთ დატვირთულ და ნაკლებად დატვირთულ პერიოდებზე. რა თქმა უნდა, ამ ეტაპზე ზაფხულის სეზონი უკონკურენტოდ ლიდერობს, მაგრამ როგორც გიდმა, შემიძლია გითხრათ, რომ თვე ტურის გარეშე არ მქონია. მიუხედავად იმისა, რომ თეორიულ ტურიზმში აქტიურად ვმოღვაწეობ და ჩართული ვარ მომავალი თაობის გიდების აღზრდაში, სერვისების განვითარებასა და ტურის დაგეგმვაში, პრაქტიკოსი გიდობა სიამოვნებაა, რომელზეც ვერასოდეს ვიტყვი უარს. ეს უკვე ცხოვრების წესია.

- რომელი ქვეყნებიდან გყავთ ყველაზე მეტი სტუმარი?

- პირად მე, ძირითადად, ბალტიისპირეთის ქვეყნებიდან ვმასპინძლობ სტუმრებს. მათ ძალიან მოსწონთ საქართველო. ჩემთვის, ერთი კმაყოფილი ვიზიტიორი, მომავალში შვიდ დაჯავშნულ ტურს ნიშნავს. მაგრამ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ტურიზმი ის სფეროა, რომელიც მუდმივ, უწყვეტ განვითარებას გულისხმობს. შესაბამისად, სადღაც ვპასუხობთ ევროპულ სტანდარს, სადღაც კიდევ ბევრი მუშაობა გვჭირდება.

- ტურიზმის შესახებ კანონის შესაძლო ცვლილებასთან დაკავშირებით რა მოსაზრება გაქვთ?

- განწყობა დადებითი მაქვს. მიმაჩნია, რომ გიდმა სამუშაო ენა კარგად უნდა იცოდეს. ისტორიის თხრობისას შეცდომები არ ეპატიება ქვეყნის არაოფიციალურ ელჩს და საშუალებით გამოგზაურებთ ჩვენი ქალაქის წარსულში, გიამბობთ დღემდე უცნობ ან ნაკლებად ცნობილ ისტორიებს. უჩვეულო ტურის აქტიური მონაწილე ბრძანდებით და პირადად გაღიხართ გზას, რომელიც ცნობილმა მოგზაურმა, მეცნიერმა ან ისტორიკოსმა განვლო. კითხულობთ მის ჩანაწერებს, განიცდით მის ემოციებს და უზიარებთ შთაბეჭდილებებს სხვებს.

- როგორია თამარ ორაგველიძის ერთი დღე?

- ტრადიციულად, ჩვენს ქალაქში ყავაზე წყდებოდა მსოფლიო პრობლემები და ვერ გაგაკვირვებთ თუ გეტყვით, რომ ფინჯანი ბათუმური ყავით იწყება ჩემი დილა. წელიწადის დროის მიხედვით აქტივობები კორექტირდება, მაგრამ ძირითადად, ოჯახის წევრების დღის გეგმას ვეცნობი და მსოფლიოსთვის დაჩქარებულ დროში მაინც, ვცდილობთ, რამდენჯერმე გადავიკვეთოთ (ეს საშუალება პატარა ქალაქის შეუდარებელი ხიბლია), საღამო საინტერესოდ დავგეგმოთ და დავტვირთოთ. თავად დღე კი სახალისო თამაშს ჰგავს, სადაც ერთი ეტაპიდან მეორე ეტაპზე გადასვლისას ძლიერდები და იზრდები. მარტივი წარმოსადგენი რომ იყოს, ეს შეიძლება ასე გამოიყურებოდეს: არაფორმალური გაკვეთილი - სკოლაში, ლექცია - უნივერსიტეტში, ეთერი - რადიოში, ტური - ქალაქის ქუჩებში და ა.შ. რაც ძალიან მნიშვნელოვანია, ეს ყველაფერი დაღლას არ გულისხმობს, პირიქით, ახალი ენერგიით და იდეებით მავსებს.

- ძირითადად რაზე აქვთ პრეტენზია თქვენს ტურისტებს?

- ლიცენზია, რომელიც კომპეტენციის დადასტურებაა, მინიმუმამდე დაიყვანს ზოგჯერ კურიოზულ სიტუაციებს. გიდების დიდ ოჯახზე ვსაუბრობ და რეგიონის მოცემულობიდან გამომდინარე, დანამდვილებით შემიძლია გითხრათ, რომ ეს ძლიერი გუნდი დაკომპლექტებულია სხვადასხვა სფეროს სპეციალისტებით, რომლებმაც ცხოვრების რაღაც ეტაპზე ჰობი პროფესიად აქციეს. პირადად მე, პროფესიით ჟურნალისტი, ცამეტწლიანი სამუზეუმო გამოცდილებით მოვედი ტურიზმის სფეროში. გვყავს იურისტები, ენათმეცნიერები, ისტორიკოსები, მაშველები და ა.შ. ჩვენ ერთმანეთს ვეყრდნობით და ვაძლიერებთ. აუცილებლად უნდა აღინიშნოს ტურიზმის დეპარტამენტის ლომის წილი პროფესიული გადამზადების კუთხით. ტრენინგები, სემინარები, ინფოტურები და ფესტივალები, რა თქმა უნდა, შედეგს იძლევა. თუმცა, რაკი რბილად „კურიოზული სიტუაციები“ ვუწოდეთ ჩვენს რეალობაში ჯერ კიდევ არსებულ, ერთეულ, მაგრამ არასახარბიელო ეპიზოდებს, აქ იმედია, გამოსავალს საერთო ძალებით ვიპოვით. ვიმედოვნებ, სტუმარი, რომელიც ასეთი ტიპის მომსახურებას მიიღებს, მკაცრი არ იქნება შეფასებისას და თუ ხუთი წუთით ადრე მოფიქრებულ ისტორიას მოისმენს, ფანტაზიის უნარს მაინც დაუფასებს ე.წ. გიდს.

- „ბათუმური დღიურები“ - ამ პროექტზეც გვითხარით რამე?

- ეს გახლავთ პროექტი, რომელიც უკვე მეხუთე სეზონია მიმდინარეობს და რადიო აჭარის ეთერის საშუალებით ჩვენ ვაპირებთ ჩვენ ქალაქის ფასეულობებზე, ადგილობრივ ტრადიციებზე, ადამიანებზე, ბუნებრივ ბალნეოლოგიურ ბაზაზე, ბაღებზე, ბულვარებზე, ბაზრებზე, ბაზილიკებზე, ბანაკებზე, ბანოებზე, ბანკეტებზე, ბანერებზე, ბანანებზე, ბანალურ ბანალურ ბანალურ ბანალურ ... ბ-ზე ... ბ-ზე ... ბ-ზე

„სიცოცხლის არსი: შენი აგური დადო უკეთესი სამყაროს შენების დიად პროცესში“

ნაირა ფუტკარაძე 27 48 93

თათული ღვინიანიძე საინტერესო, თვითმყოფადი მწერალია, რომლის მისამართით დადებით ეპითეტებს არ იშურებენ. ამ კეთილადნაგმა შემოქმედმა ლიტერატურულ სარბიელზე უკვე მიიპყრო ყურადღება, არის ერთი რომანის ავტორი, უახლოეს მომავალში მეორე რომანს გამოსცემს. მგრძნობიარე ბუნების და ფაქიზი აღქმის რომაა, ამაში თავად დარწმუნდებით.

- როგორ დაიწყებდით ავტობიოგრაფიას?

- ალბათ, იმ მომენტის აღწერით, როცა აღმოვაჩინე, რატომ მოვევლინე ამ ქვეყანას და საკუთარი მისიის შესრულებას შევუდექი... რადგან ადამიანები ორჯერ ვიბადებით: პირველად - როცა დედის მუცლიდან ამ სამყაროში „ამოვყოფთ თავს“; მეორედ კი როცა საკუთარ საზრისს ვაცნობიერებთ.

- რა ისწავლეთ?

- „იმის მიღება, რაც გვჭირდება, ყოველთვის სჯობს იმის მიღებას, რაც გვსურს... რადგან, ადამიანები ხეირიანად ვერც ვერკვევით საკუთარ სურვილებში. ხშირად კი ჩვენი წადილი სულაც არ ემთხვევა საჭიროებებს და მათ შორის გახლეჩა გვიწევს“ (ჩემი ახალი რომანიდან - „ერთი კვირა ერთ ოთახში“).

- ამ ეტაპზე რას საქმიანობთ?

- ვმუშაობ მეორე რომანზე - „10^10^16“ და მაქსიმალურად შთამბეჭდავი რომ გამოვიდეს, ექსპერიმენტებს ვატარებ. მსურს, ექსპერიმენტის შედეგად შეძენილი ცოდნა და ცხოვრებისეული გამოცდილება ნაწარმოებში ავსახო, რითაც, მჯერა, უნიკალურობას მივანიჭებ.

- რა უფრო მნიშვნელოვანია, რეალობის ასახვა თუ გამონაგონი?

- რეალობის ასახვა, რადგან გამონაგონშიც კი მრავლადაა რეალობის მარცვლები.

- თემა, პრობლემა, ყველაზე მეტად რომ გაღელვებთ...

- ადამიანის დემორალიზაცია.

- კლასიკური ნაწარმოები, რომელიც არ წაგიკითხავთ...

- ვირჯინია ვულფის „გზა შუქურისკენ“.

- ყველაზე უცნაური თვისება, რომელიც გახასიათებთ...

- ჩემდაუნებურად, წერისას, ვწინასწარმეტყველებ მოვლენებს, რომლებიც ჩემს გარშემომყოფებს (ან თავად მე) რეალობაში გადაგვხდება ხოლმე. ასევე ვწერ ისტორიებს ადამიანებზე, რომლებსაც არ ვიცნობ, მაგრამ მოგვიანებით „შემოდიან“ ჩემს ცხოვრებაში და მიყვებიან, რომ მსგავსი ამბავი ზუსტად მაშინ გადახდათ, როცა ნაწარმოებს ვწერდი.

- თქვენი ცხოვრების ყველაზე დიდი გატაცება...

- ადამიანების შესწავლა და საკუთარი შეცდომების ანალიზი.

- ყველაზე დიდი შეცდომა...

- ერთგულებისა და სიყვარულისთვის მსხვერპლშეწირვის სახელით, არაერთგზის ხელიდან გაშვებული შესაძლებლობები.

- სიტყვა, რომელიც არ გიყვართ...

- „შეუძლებელია“, „არა“.

- თქვენი საყვარელი სიტყვა (სიტყვები)...

- „შემიძლია“, „დაგეხმარები“, „მადლობა“ და „მიყვარხარ“.

- ფიქრები რომ დაწეროთ?

- შევქმნი ერთი ამოსუნთქვით წასაკითხ რომანებს.

- დაასახელეთ სამი საუკეთესო ქართული რომანი...

- ჯემალ ქარჩხაძის „ანტონიო და დავითი“, გურამ დოჩანაშვილის „სამოსელი პირველი“, ოთარ ჭილაძის „გზაზე ერთი კაცი მიდიოდა“.

- ფრაზა, რომელიც თქვენთვის ყველაზე მნიშვნელოვანია...

- „დიდება მამასა და ძესა და წმიდასა სულსა, აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ!“ - ლოცვა მეხმარება დამშვიდებასა და შიშის დაძლევაში, მარტოობისა და დაუცველობის განცდასაც ერთი ხელის მოსმით სპობს, ავბედითი ჟამის ჩამოდგომისას.

- მწერალი, რომელთანაც ისაუბრებდით... რატომ და რაზე?

- დაუფიქრებლად - ჰერმან ჰესე იმიტომ, რომ მონათესავე სულები ვართ. ვეტყოდი, რომ მარტო არ არის ამხელა სამყაროში, რადგან მე მესმის მისი, ვწვდები მის სულს.

- წიგნი, რომელიც რამდენჯერმე გაქვთ წაკითხული...

- ბევრია ასეთი, რადგან საყვარელი წიგნების გადაკითხვა ჩვევად მაქვს: „ლამაზი მეგობარი“, „ტრიუმფალური თაღი“, „1984“, „ჰარი პოტერის“ ყველა ტომი...

- რომელი წიგნის დასაწყისია საუკეთესო?

- იმის, რომელიც „გაიძულებს“, კითხვა გააგრძელო და სხვა გვერდებისკენ იმხელა ძალით გექაჩება, რომ ვეღარ წყდები.

- რომელია საუკეთესო დასასრული?

- რომელიც სივრცეს გიტოვებს ფიქრისა და წაკითხულის იმპროვიზაციისთვის.

- ენა თუ ამბავი... რატომ?

- თანაბრად, რადგან ინისა და იანის პრინციპით ერთმანეთს ავსებს.

- პროცესი თუ შედეგი?

- პროცესი. შედეგი რაც უნდა იყოს, პროცესია მთავარი თავგადასავალი, ის გზრდის, გავითარებს და კითხვებზე პასუხის პოვნაში გეხმარება. საბოლოო ჯამში, სწორედ პროცესი გახსენებს, რომ ნებისმიერი შედეგის მიუხედავად, შენ მოგებული ხარ, რადგან ცოდნა, ემოციები და შთაბეჭდილებები შეიძინე.

- რომელია თქვენი მეთერთმეტე მცნება?

- გიყვარდეს საკუთარი თავი, პატივი ეცი და დააფასე.

- როგორ შეაფასებთ საკუთარ თავს?

- საინტერესო, არაორდინარული, ღრმა.

- მიტევება შეგიძლიათ?

- მარტივად.

- გწამთ...

- სიკეთისა და სიყვარულის ძალის, რომელიც, საბოლოოდ, აუცილებლად იმარჯვებს.

- რაზე იტყოდით - ნეტავ შემეძლოს?

- ნეტავ, შემეძლოს დროის კოსმიური საიდუმლოს ამოხსნა... ვინ იცის, იქნებ ამოვხსნა კიდეც, ოდესმე.

- რას ნატრობთ?

- საერთაშორისო ასპარეზზე საკუთარი შემოქმედების გატანას, რათა მეტ მკითხველს მივაწვდინო ხმა და დავეხმარო შინაგან კონფლიქტებთან გამკლავებაში ან მოვამზადო განსაცდელისთვის, რომელსაც ცხოვრება აუცილებლად მოუწყობს ადრე თუ გვიან.

- სამშობლო...

- იდენტობისა და თვითაღქმის საზომი. მსგავსი ფასეულობებისა და წეს-ჩვეულებების მქონე ადამიანთა ერთიანობა, რომელსაც საერთო ისტორიული მეხსიერება აქვთ და მათ გენში ერთი და იგივე ინფორმაციაა გენერირებული (ინფორმაცია ტემპერამენტზე, აღქმაზე, შეგრძნებებზე, ზოგად თვისებებსა და მახასიათებლებზე). არ მგონია, რომ სამშობლო მაინცდამაინც ადგილი ან მიწაა, უფრო იდეა და მისით კონსტრუირებული საზოგადოებაა.

- სიცოცხლის არსი...

- შენი აგური დადო უკეთესი სამყაროს შენების დიად პროცესში; რაღაც დაუტოვო კაცობრობასა და შთამომავლობას; იპოვო ღმერთი; იყო ბედნიერი...

- განსაკუთრებული დღეები...

- ყველა ის დღე, რომელიც საშუალებას მაძლევს, გამოვავლინო, ვინ ვარ ან რამეს მასწავლის და პიროვნულად მზრდის.

- კითხვა, რომელზე პასუხიც გინდათ, რომ იცოდეთ?

- როცა კითხვა მიჩნდება, რომანის წერას ვიწყებ, ასე რომ, მირჩევნია კითხვები ჩემს შემოქმედებაში გავაყოლერო.

რას უსმენენ და კითხულობენ მოზარდები?

ნანა აბულაძე 577 20 35 90

ალბათ, თქვენც, როგორც მე, ხშირად გაგჩენიათ სურვილი, ქუჩაში მიმავალი ყურსასმენიანი გოგო-ბიჭებისათვის გეკითხათ, რას უსმენენ, ბიბლიოთეკაში, წიგნების შესარჩევად მისული მოზარდებისგან გაგეგოთ, ლიტერატურის რომელ ჟანრს ანიჭებენ უპირატესობას, ხოლო კომპიუტერთან, ვიდეოთამაშებში ჩაკარგულებისთვის გეკითხათ, რომელი ვიდეოთამაშია მათთვის ყველაზე პოპულარული?

გადავწყვიტე, ინტერესი დამეკმაყოფილებინა და რამდენიმე მოზარდისთვის დამესვა ეს კითხვები. ვფიქრობ, რაც საუბრის შემდეგ გამოიკვეთა, მეტ-ნაკლებად ცხადყოფს, თუ რა ინტერესები აქვთ მათ.



ელენე შავაძე, 13 წლის:

- როგორც მე, ასევე ჩემი კლასელების უმეტესობას უყვარს წიგნის კითხვა. ხშირად განვიხილავთ წაკითხულ ნაწარმოებს, ერთმანეთს ვუზიარებთ შთაბეჭდილებებს. ვურჩევთ ერთმანეთს წიგნებს. ჩემი საყვარელი მწერლები არიან ენიდ ბლაიტონი, ასტრიდ ლინდგრენი და ნილ გეიმანი. ბლაიტონის „ცნობილი ხუთეულის“ დაახლოებით 11 ნაწილი მაქვს წაკითხული. მიყვარს სათავგადასავლო და საშიში, „ჰოროროის“ ჟანრის ნაწარმოებები. ჩემი საყვარელი წიგნია ნილ გეიმანის „კორალაინი“, რომლის შინაარსიც მოულოდნელობით სავსეა, „ფენტეზის“ ჟანრია. ექსტრიმი მიყვარს და, შეაბამისად, მსგავსი შინაარსის ლიტერატურული ნაწარმოებებიც. კიდევ ერთი წიგნი, რომლის წაკითხვაც შემიძლია ვურჩიო ჩემს თანატოლებს, ეს არის პენი ჯოლსონის წიგნი „მე არაფერს ვმალავ“. იგი მოგვითხრობს ერთ ძალიან კარგ გოგო ჯემაზე, რომელსაც ცერებრული დამბლა აქვს, არც მოძრაობა შეუძლია და არც ლაპარაკი. ეს წიგნი გვასწავლის, რომ ჰუმანურები უნდა ვიყოთ, თანადგომა შეგვეძლოს და იმას, რომ ყველა ადამიანი თანაბარუფლებიანია. რაც შეეხება მუსიკას, ზოგს მოსწონს პოპი, რეპი, კეი პოპი, ქარდი ბი. მაგალითად, მე მომწონს მაიკლ ჯექსონი, „დიიფ ფარფლი“, ზოგადად, როკ-მუსიკა, რეპი. ემინემი ჩემი ერთ-ერთი საყვარელი მომღერალია, სტიმულს და ენერგიას მაძლევს. ძალიან მიყვარს ხატვა, ბოლოს დავხატე ცნობილი ნახატი „გოგონა მარგალიტის საყურით“, ოღონდ დისნეის გმირ დეიზის სახით. ახლა პოპულარულია სახეების შეცვლა, მაგალითად, სახეზე სხვისი პერსონაჟის მორგება. ძალიან მიყვარს ფილმების, სერიალების ყურება, ჩემი ერთ-ერთი საყვარელი სერიალია „უენსდეი“, ძველი ფილმებიდან ძალიან მომწონს დისნეის ყველა ფილმი. ვიდეოთამაშებზეც გეტყვით: ბიჭები უფრო ერთობიან ვიდეოთამაშებით, თუმცა გოგონებიც ვთამაშობთ. ყველაზე პოპულარულ ვიდეოთამაშებად „ჯეტეა 5“ და „ფორთნაითი“ მიმაჩნია. მაინც ჯობია, თამაშების ნაცვლად ხელოვნების რომელიმე მიმართულებით დავინტერესდეთ, რაც უფრო მეტად გამოგვადგება მომავალში და ცოდნასთან ერთად, ძალას შეგვმატებს.

გიორგი გურგენიძე, 15 წლის:

- ძალიან მიყვარს კითხვა, უმეტესად ვკითხულობ „ფენტეზის“ ჟანრის ლიტერატურას. ერთ-ერთი ჩემი საყვარელი წიგნია „ჰარი პოტერი“, საყვარელი ქართველი მწერალი კი აკა მორჩილაძე, ასევე მომწონს კონსტანტინე გამსახურდიას „დიდოსტატის მარჯვენა“. ისტორიული ჟანრის წიგნები მომწონს ძალიან, რომლებიც ასახავს ჩვენი ქვეყნის წარსულს, იმას, თუ საიდან მოვდივართ, რა გადავიტანეთ და როგორ მოვედით დღემდე. წიგნებს, როგორც ჩემი სურვილით, ასევე ოჯახის წევრების, მეგობრების რჩევით ვკითხულობ. რაც შეეხება მუსიკას, გამორჩეულად მიყვარს ჰიპ-ჰოპი. საყვარელი მომღერლები არიან სნუპ დოგი, 50 ცენტი და თუფაქი. ჩემი მეგობრებიც სწორედ აღნიშნულ ჟანრს და მომღერლებს ანიჭებენ უპირატესობას, ვიდეოთამაშებიდან კი „მაინქრაფტს“ და „პაბჯის“. ვიცი, შეიძლება დროს მართმევს, მაგრამ სტიმულსაც მაძლევს და მეხმარება ჩემს მეგობრებთან ერთად დროის საინტერესოდ გატარებაში. მომწონს ვირტუალური ურთიერთობები - უფრო კომფორტულად ვგრძნობთ თავს.

ბეგა წიტაიშვილი, 11 წლის:

- ზოგადად, ვკითხულობ სათავგადასავლო და ჰოროროის ჟანრის წიგნებს. ბოლოს წავიკითხე სტივენ კინგის „მკვდარი ზონა“. თავდაპირველად არ დამაინტერესა, მაგრამ შემდეგ ისეთი საინტერესო სცენებით განვითარდა შინაარსი, დიდი სიამოვნებით ჩავიკითხე ბოლომდე, კარგი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე. მუსიკას რაც შეეხება, ძირითადად ვუსმენ პოპს, რეპს. „მეოთხე დასი“, ასე ჰქვია ჯგუფს, რომლის სიმღერებიც ძალიან მომწონს, ჯგუფის წევრებიდან კი განსაკუთრებით მიყვარს ვაჩე. ვიდეოთამაშებს როგორც მე, ალბათ ყველა ბავშვი თამაშობს. ძალიან მიყვარს „პაბჯი“. უკვე მეოთხე წელია რაც ვთამაშობ და ამ დროის განმავლობაში ბევრი მეგობარი შევიძინე. ვიდეოთამაშები დროის ხარჯვა, შეიძლება ცუდიც იყო ჩემთვის, სწავლას ვერ დავუთმე სათანადო დრო, მაგრამ შემაძენინა მეგობრები, რაც ძალიან მახარებს.

ანამარია დუმბაძე, 9 წლის:

- კითხვა ძალიან მიყვარს. თავისუფალ დროს ხშირად ვკითხულობ სხვადასხვა ჟანრის ლიტერატურას, განსაკუთრებით მომწონს სათავგადასავლო წიგნები. ჩემი საყვარელი მწერლები არიან აკაკი წერეთელი, სულხან-საბა ორბელიანი, ნოდარ დუმბაძე, ასტრიდ ლინდგრენი და რაკელ პალაციო. განსაკუთრებული შთაბეჭდილება მოახდინა პალაციოს ნაწარმოებმა „საოცრება“. ეს წიგნი ყველა ბავშვმა უნდა წაიკითხოს. ის გვასწავლის, რომ ადამიანი, მით უმეტეს, ბავშვი, ფიზიკური ნაკლის გამო არ უნდა გაირიყოს საზოგადოებისგან, მან დაცულად და სრულფასოვან ადამიანად უნდა იგრძნოს თავი. მუსიკას რაც შეეხება, იგი საუკეთესო განტვირთვაა ჩემთვის, მეხმარება ენერგიის აღდგენასა და მოტივაციის ამაღლებაში. ხშირად ვმეცადინეობ მუსიკის ფონზე და გაცილებით უკეთ ვართმევ თავს დავალებებს. მიყვარს ხალხური მუსიკა, განსაკუთრებით, როცა მე თვითონ ვუკრავ ხალხურ საკრავზე. მომწონს და ვუსმენ უცხოურ მუსიკასაც: ემინემს, სნუპ-დოგს, ბილი აილიშს, თუფაქს. აზაზელის „გელოდებიც“ ძალიან მიყვარს. ვიდეოთამაშების დიდი მოყვარული არ ვარ, მაგრამ მეგობრებთან ერთად ვთამაშობ „e Football“-ს, „Minecraft“-ს „Roblox“-ს. ჯობია, ეს დრო უფრო სასარგებლოდ გამოვიყენო.

დედამ ახალშობილი კლინიკაში დატოვა

სააგენტო „ინტერპრესნიუსს“ დაუდასტურეს, რომ ბათუმში, კლინიკა BMS-ში, 20 წლამდე ასაკის ქალმა ბავშვი გააჩინა და იქ-

ვე დატოვა. სამედიცინო დაწესებულებაში დეტალებზე საუბრისგან თავი შეიკავეს.

არსებული ინფორმაციით, ახალგაზრდა ქალმა კლინიკა მშობიარობის შემდეგ დღეს დატოვა.

BMS-ის ინფორმაციით, მომხდარის შესახებ შესაბამისი უწყებები ინფორმირებულია. ახალშობილი სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოს მეთვალყურეობის ქვეშ იქნება.

ამირან გურიელიძე

მთავარი რედაქტორი
მარინა მითაიშვილი

გამომშვები რედაქტორი
ირმა შერვაშიძე

ლიტერატურული რედაქტორი
ეთერ ხომერიკი

R
რედაქცია პასუხს არ აგებს უცხოური პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, აგრეთვე სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.
ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით.
რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

გამომცემელი - შპს «ბაზელი აჭარა და ადჭარია»
პოლიგრაფიული მომსახურება - შპს «კოლორ პრესი»
მის: ქ. თბილისი, ე. ბაღდავაძის ქ. №3

მისამართი: 6000, ბათუმი, გრიგოლ ეპისკოპოსის ქ. №2
ტელ: 27-13-31
აინყო და დაკაბადონდა გაზეთ «აჭარის» კომპ. ცენტრში
დასაბეჭდად ხელმოწერილია 17/02/23, 21 30 სთ.

დირექტორი
მამუკა ბერიძე

შეხვედრა ირაკლი კახიძესთან, ანუ „ხმა, რომელსაც გინდა, მუდმივად უსმინო“

მანანა ძიძიშვილი 598 24 94 97

სალონურ საღამოზე „სტუმრად ვახტანგ ღლონტთან“ ჩვენი საამაყო თანაქალაქელი, ბრწყინვალე ტენორი, გერმანიის ქალაქ მანჰაიმის ოპერისა და ბალეტის ნაციონალური თეატრის სოლისტი ირაკლი კახიძე იმყოფებოდა

ის პირველი და დღემდე ერთადერთი ქართველი ტენორია, ვინც ორანჟის ცნობილ, ძალზე პრესტიჟულ საერთაშორისო ფესტივალზე იმღერა (2018 წ.). ამჟამად ირაკლი კახიძე დიდი წარმატებით მოღვაწეობს ევროპის ქვეყნებში. პანდემიის დროს წარმატებული სპექტაკლები ჰქონდა მას ჰონგ-კონგში. მომღერალს შემოქმედებითი პარტნიორობა აკავშირებს ისეთ მსოფლიო ვარსკვლავებთან, როგორებიც არიან: ლუდოვიკ ტეზიე, ლატანია მოორე, მიშელ ფოლე, ტატიანა სერჟანი, ბეატრის ურია-მონძონი, ეკატერინე სემენჩუკი, ერვინ შროტი, რომან ბურდენკო, დრაგანა რადაკოვიჩი, სვეტლა ვასილევა, ოლესია პეტროვა, ვლადისლავ სულიმსკი, ქეთრინ ფოსტერი, სხვები.

ირაკლი კახიძეს ჩვენს ქალაქში წარდგენა არ სჭირდება (რამდენიმე წელია მისი სახელი საქართველოსაც გასცდა). როგორც ვახტანგ ღლონტმა თქვა, ეს საღამო წლების წინ შეიძლებოდა შემდგარიყო, მაგრამ იმ პერიოდში, თავად თქვა უარი სალონურ შეხვედრაზე - გაუმხილა, რომ ბათუმიდან მიდიოდა. წავიდა კიდეც... მან სულ მალე დაამტკიცა, რომ საუკეთესოა. ამაზე უკვე უცხოეთის პრესა წერს.

გადატვირთული სამუშაო გრაფიკის გამო, ის ხშირად ვერ ახერხებს ბათუმში ჩამოსვლას, მაგრამ ახლა ბათუმის სახელმწიფო მუსიკალური ცენტრის საოპერო დასის სამხატვრო ხელმძღვანელისა და ვოკალის პედაგოგის მარიამ ჯახუტაშვილის საიუბილეო დღეებში მონაწილეობის მისაღებად ჩამოვიდა და მომღერალთან შეხვედრის შანსი ვახტანგ ღლონტმა ხელიდან არ გაუშვა. როგორც ირაკლიმ აღნიშნა, მამას ძალიან სურდა მომღერალი გამოსულიყო, რადგან თავადაც მღეროდა, მაგრამ ბაბუამ, რომელიც მაშინ ქალაქის კავშირგაბმულობის უფროსი გახლდათ, რატომღაც არ ჩათვალა, რომ სომღერა „კაი“ საქმე იყო. სხვათა შორის, მამა პოლიციელი იყო, რომელიც იმდენად კეთილსინდისიერად ასრულებდა მინდობილ საქმეს, რომ ყველას შეაყვარა თავი. წარწერა - „კუკარაჩა“ მისი საფლავის ქვაზე ამის დასტურია.

ირაკლი კახიძისთვის შედარებით სერიოზული მუსიკა საესტრადო კონკურსში „აჭარა 96“ მონაწილეობით დაიწყო, რომელიც სახელმწიფო მუსიკალურმა ცენტრმა მზია კვირიკაშვილისა და ილია ჩუთლაშვილის ხელმძღვანელობით ჩაატარა (ეს ცენტრი მათ დააფუძნეს). ირაკლი საუკეთესო შვიდეულში ერთადერთი მამაკაცი იყო. ჟიურიში შედიოდნენ ძალიან ცნობილი მუსიკოსები, მათ შორის, ვაჟა დურგლიშვილი, ბესიკ კალანდაძე, მუსიკისმცოდნე მაია დათუნაშვილი, მსახიობი მანუჩარ შერვაშიძე... ამის შემდეგ საესტრადო ვოკალზე ჩაბარება გადაწყვიტა, მაგრამ იადონ მახარაძემ გადააფიქრებინა და საოპერო ვოკალზე ჩააბარებინა. იადონ მახარაძემ მიიყვანა ის აჭარაში ყველა საუკეთესო საოპერო მომღერლის აღმზრდელ მურმან მახარაძესთან. ჩაბარებამდე კონსულტაციები პროფესორ ნოდარ ვარშანიძესთან გაიარა.

საღამოზე ძალიან ბევრი ადამიანი გაიხსენა, ვინც სხვადასხვა დროს გვერდით დაუდგა და დაეხმარა. ერთ-ერთი იყო ბიძა, რომელმაც „იამახა“ აჩუქა. სიყვარულით გაიხსენა ისინიც, ვისთანაც მოზარდობაში მეგობრობდა და მათთან ერთად დიდ დროს ატარებდა „ინტურისტებში“ - იასონ ხომერიკი, ნუგზარ გუჩმანიძე... ბევრი რამ გაუკეთა მამამ, რომელიც გულისტკივილით მოიგონა, გული წყდება, რომ იგი ვერ მოესწრო შვილის წარმატებებს. უჭირს იმ ახლობელი ადამიანების გარეშე, ვინც ადრე წავიდა ამ ქვეყნიდან, ასე ჰგონია, ისინი მუდამ მასთან არიან და როცა მღერის, მარტო არ არის.

თქვა, რომ ცხოვრებაში არის ეტაპები, როცა ადამიანი საჭიროებს რაღაც დახმარებას და ჩნდება ის, ვინ შენს ბედს წყვეტს, წამოგეშველება. მის შემთხვევაში ძალიან ბევრი პრობლემა მოუგვარდა მას შემდეგ, რაც დაქორწინდა. მეუღლე დიანა გოგოჭური ოპერის მომღერალია, ყოველთვის გვერდით უდგას. არის მის ცხოვრებაში კიდევ ერთი ადამიანი - დედა, რომელიც, რა თქმა უნდა, ძალიან უყვარს. ყველა მის ჯილდოს სწორედ დედა „იბარებს“, რომელსაც ძალიან სურდა ბიჭი მეზღვაური გამოსულიყო, მაგრამ... დღეს ბედნიერია, შვილს რომ წარმატებულს ხედავს.

ირაკლი კახიძე იმ ადამიანებს განეკუთვნება, ვინც სიკეთეს არ ივიწყებს. ემადლიერება ლადო ათანელს. მის მიერ ჩატარებული საოპერო მარათონი მოიცავდა სამ ქალაქს - ბათუმს, ქუთაისსა და თელავს, სწორედ ამის შემდეგ დააფინანსეს და სასწავლებლად გაემგზავრა. როცა ჩამოვიდა, არაერთ პრემიერაში მიიღო მონაწილეობა. შემდეგ თამარ ივერმა იმარჯვა, პირველმა დააკავშირა ერთერთ სააგენტოს. ირაკლის მოსმენებზე რომ ევლო, საჭირო თანხები არ ჰქონდა. თამარი არწმუნებდა სააგენტოს წარმომადგენლებს, რომ ირაკლი კარგი მომღერალი იყო, მას სასტუმროებს უჯავშნიდნენ იმ ქალაქებში, სადაც მოსმენები იყო, თუმცა იქ ღამეს არ ათევდა, ავტობუსებით გადაადგილდებოდა, რათა სხვა თეატრებშიც მოეხერხებინა მოსმენებზე მისვლა, ამიტომ მთელი ღამეები ავტობუსებში ეძინა. ამბობს, რომ შრომის გარეშე არაფერი გამოდის. ახლა თავად ცდილობს, ნიჭიერ ადამიანებს დაეხმაროს.

შეხვედრაზე ირაკლი კახიძემ საკუთარი ხედვაც გაგვაცნო საოპერო სფეროს მიმართულებით, რომლის განვითარებისთვის თავის კავშირებს იყენებს. სწორედ ამას ემსახურებოდა 2020 წელს, მისი მოწადინებით, ბათუმში მანჰაიმის თეატრის წარმომადგენლების ჩამოსვლა. მაშინ ბევრი რამ დაიგეგმა, თუმცა მისი განხორციელება შეაფერხა პანდემიამ.

მომღერალმა აღნიშნა, რომ შეხვედრაზე მოვიდნენ ის ადამიანები, რომლებიც მასზე ზრუნავდნენ, რათა მეტი განათლება მიეღო, ღრმად შეხებოდა მუსიკას. მარიამ ჯახუტაშვილმა, რომელთანაც სწავლობდა, კონსერვატორიაში გაუკვალა გზა. ეს წლები მისთვის ძვირფას მოგონებად დარჩება.

ირაკლი კახიძე უცხოეთში ნამღერი ჩანაწერებით სოციალურ ქსელებშიც ხშირად გვანებივრებს, თუმცა ეს ჩუმად გადაღებული კადრებია. არ უყვარს საკუთარი თავის ქება, მაგრამ რამდენად წარმატებულია, ჩვენ ამას მისი ნამღერითა და კრიტიკოსების შეფასებით კარგად ვხედავთ. საკუთარი თავისადმი კრიტიკულია და გამოსვლასაც იმიტომ იწერს, რომ შემდეგ მოუსმინოს, შეაფასოს, კარგად დაინახოს, სად როგორ იმღერა და თუ შეცდომა დაუშვა, იგივე ნაწარმოების შესრულებისას ეს აღარ გაიმეოროს, გამოასწოროს, რაც საუკეთესო თვისებაა. რამდენიმე ნაწარმოები იქვე შეგვისრულა (კონცერტმაისტერი - ნინო ჩაიძე), ბევრიც ჩანაწერით მოგვასმენინა და როგორც ყოველთვის, გაგვაოცა თავისი უნიკალური ხმით. აჩვენეს კლიპი, რომელშიც ბათუმელ გიტარისტ ხვიჩა მაღლაკელიძესთან ერთად, ბრწყინვალედ იმღერა „გრენადა“. მოვისმინეთ არიები სხვადასხვა ოპერიდან მისი შესრულებით, თან საინტერესოდ გვიყვებოდა თითოეული დადგმის შესახებ. უდიდესი სითბოთი და სიყვარულით ისაუბრა შვილებზე.

გთავაზობთ რამდენიმე ამონარიდს ევროპული პრესიდან, რომელიც ნათლად წარმოაჩენს ირაკლი კახიძის პიროვნებას და შემოქმედებას: „ირაკლი არის უაღრესად სიმპათიური, არაჩვეულებრივად პოზიტიური ადამიანი, თბილი, კეთილი, კოლეგიალური და კარგი იუმორის მქონეც. ერთი სიტყვით, უაღრესად სასიამოვნო გარემოს ქმნის მუშაობის პროცესში. რაც შეეხება მას, როგორც მომღერალს, მიმაჩნია, რომ მის შემთხვევაში საქმე გვაქვს განსაკუთრებულ, ფენომენალურ მოვლენასთან. მისი ხმა არის ულამაზესი ტემბრით, ძალით და მოცულობით შეფერილი. გასაოცარია რეგისტრული სკალა, რომელსაც იგი ასე ოსტატურად ფლობს და რაც საშუალებას აძლევს, თავისუფლად იგრძნოს თავი უკიდურესად მაღალ რეგისტრშიც კი. მას აქვს ყველაფერი, რაც ნამდვილ სპინტო-ტენორს სჭირდება ვერდისა და პუჩინის რთული რეპერტუარის სიმღერისთვის. და კიდევ ის, რაც მის სიმღერას განსაკუთრებულს ხდის და რაც ასე ძალიან მხიბლავს მასში, ეს არის სიტყვის და ფრაზის მნიშვნელობის საოცრად ზუსტი შეგრძნება. ეს ფაქტორი ჩემთვის, როგორც მუსიკოსისთვის, თითქმის გადამწყვეტია. ირაკლის სადღაც შიგნიდან, გულისა და სულის სიღრმიდან გამოაქვს სიტყვის მნიშვნელობა და ბრწყინვალე ბრილიანტების სახით მიაქვს მსმენელამდე. მომღერალი ირაკლი კახიძე მანჰაიმის ნაციონალური თეატრის ნამდვილი მონაპოვარი და განძია!!! ეს არის ხმა, რომელსაც გინდა, მუდმივად უსმინო!“, - წერს მანჰაიმის ნაციონალური თეატრის მთავარი მრჩეველი სამხატვრო-მუსიკალურ დარგში შტეფჰენ მარინარო.

„ქართველ ტენორს ირაკლი კახიძეს, რომელმაც უკვე დაიმკვიდრა შესანიშნავი იტალიური სპინტო-ტენორის რეპუტაცია, ახლა კი უკვე ფრანგული კლასიკური რეპერტუარის ნადირისა და დონ ხოზეს ჩათვლით, შეემატა კიდევ ერთი ბრწყინვალე და ურთულესი როლი - ვერთერი (მასნეს „ვერთერი“). მისი ულამაზესი ტემბრის ხმა იღვრებოდა რბილად და ლირიკულად, გულში ჩამწვდომად და სავსედ ჟღერდა მაღალი ნოტები, ვოკალურ პრევალენტობას იგი შესანიშნავად უთავსებს ლეგატისიმოს და პიანოს გასაოცარ კულტურას, ასევე იშვიათი გემოვნების მუსიკალურ ფრაზირებას“... დონ კარლო! კიდევ ერთი ნათელი შედევრი მის რეპერტუარში! განსაკუთრებულად გამორჩეული ვოკალური აქცენტები ყველა სცენაში! ქართველმა ტენორმა კიდევ ერთხელ მოხიბლა მსმენელი თავისი ზუსტი, სრულყოფილი და ელეგანტური ხმით! ტენორი თავდაჯერებული ბრწყინვალებით! ყველანაირი შოუმენობის გარეშე!“, - წერს კრიტიკოსი გერჰარდ ჰოფმანი.

სამი სხვადასხვა გერმანული გამოცემა ასე ეხმაურება ირაკლი კახიძის მიერ განსხეულებულ დონ ხოზეს (ბიზეს „კარმენი“): „მართლაც რომ რთულია იყო ირაკლი კახიძის პარტნიორი სცენაზე. სენსაციურ შთაბეჭდილებას ახდენს მისი ულამაზესი ხმის ძალა, თავისუფალი მაღლების, ფრაზირების და ტონის სრულყოფის შთამბეჭდავი მოდიფიცირება!“; „იდეალურ დონ ხოზედ გვევლინება ირაკლი კახიძე, ძლიერი ხმით, თავისუფალი ფრაზირებით, მყარი და გაშლილი მაღლებით!“; „თავისი სასიამოვნო ტემბრით შეფერილი ხმით აცოცხლებს დონ ხოზეს ირაკლი კახიძე. გასაოცარ განვითარებას აღწევს იგი ბოლო სცენაში, მძიმე რუბატოებისა და სულისშემძვრელი ინტონაციის მეშვეობით“.

ბოლო თვეებში ირაკლი კახიძე დიდი წარმატებით მონაწილეობდა ტაივანში, ვერდის „დონ კარლოსში“, დიუსელდორფსა და დუისბურგში - პუჩინის „ტოსკაში“. მომღერლის უახლოესი გეგმები კი ასეთია: მარტში მონაწილეობას მიიღებს პრემიერებში - ვერდის ოპერაში „ბედის ძალა“, მაისში კი პუჩინის ოპერაში „ვილლი“, რომელიც მანჰაიმის ოპერისა და ბალეტის ნაციონალურ თეატრში გაიმართება. მაისში მას კვლავ ჰონგ-კონგში შეხვდებიან, ამჯერად ვერდის „ტრუბადურში“, ხოლო ოქტომბერში, ბელინის „ნორმაში“ იმღერებს სეულში (სამხრეთ კორეა) და ა. შ.

ირაკლი კახიძეს ქუთაისის ოპერის თეატრში არაერთხელ აქვს ნამღერი დიდი წარმატებით და, შეიძლება ითქვას, რომ ის მსმენელთა ერთ-ერთი ფავორიტია. 10 თებერვალს მან იქ „ტოსკაში“ იმღერა, რომელსაც ისევ დიდი სიყვარულით შეხვდნენ. სულ მალე ჩვენი თანაქალაქელი თბილისის ოპერის თეატრში იმღერებს... 2024 წელს - ტაივანში, „მანონ ლესკოში“, თუმცა მანამდე, 25 თებერვალს, ბაქოში მიემგზავრება, სადაც „აიდაში“ იმღერებს... თითქმის ყველა თვე გაწერილი აქვს. ივლისში ისევ ჩამოვა ბათუმში და ოპერა „ლელაში“ მიიღებს მონაწილეობას.

გვინდა წარმატებები ვუსურვოთ ირაკლი კახიძეს, მან ეს დაუღალავი შრომითა და ბრწყინვალე ხმით ნამდვილად დაიმსახურა.